საქართველო

გაზეთი 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

რესპუბლიკა

№134 (9814) 2024 წლის 22 ნოემბერი. პარასკევი

ფასი 1 ლარი

ხვალ გიორგობაა, გილოცავთ!

ხვალ „ვარდების რევოლუციის“ 21-ე წლისთავია, რომელმაც ჩვენს სამშობლოს უბედურების მეტი არაფერი მოუტანა და სამოქალაქო დაპირისპირების სინონიმად იქცა. ამ საბედისწერო თარიღს საოცნებო მშვიდობა და ერთობა უნდა დავუპირისპიროთ, კეისარს კი კეისრისა მივუზღათ!

2

„ქართული ოცნების“ პრემიერობის კანდიდატი ირაკლი კობახიძეა, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე წარდგენილია შალვა პაპუაშვილი

ფრთხილად, ნინ ბრიზებაა!!!

8

კოლექტიური ნაციისტებისთვის ძალაუფლების წყარო და ლეგიტიმაციის მიმცემი არის არა ქართველი ხალხი, არამედ უცხოეთი!!!

5

გია აბაშიძე:

არ გამიკვირდება, ზურაბიშვილი თბილისის ქუჩებში მალე სტვენით და ყვირილით ვიხილოთ

4

სევდია უგრეხელიძე:

კიტოვანის და იოსელიანის ლეგიტიმურობა ცნო დასავლეთმა და გამსახურდიასი არა, ეს არ იყო შეცდომა?



5

ადამიანი დროში

6

თემურ ჯაგოდნიშვილი

სიმდაბლის სიმაღლე

საქართველო სიმსუქნის მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებს შორისაა

9

შალვა პაპუაშვილი: წარმოიდგინეთ, რა აბსურდთან გვაქვს საქმე!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერის განცხადებას, რომ კაცი კაცია, ქალი ქალია და კაცი ვერ გახდება ქალი, სოციალურ ქსელში ეხმიანება.

„როდესაც ყველაზე მდიდარი, ყველაზე კლიერი, ყველაზე გავლენიანი სახელმწიფოს პარლამენტის თავმჯდომარეს ამის თქმა უწევს, ალბათ, გასაგებია, თუ რა ხარისხის აბსურდთან გვაქვს საქმე. სწორედ ამას არეგულირებს „ოჯახური დირებულებების შესახებ“ კანონი, რომლის გაუქმებასაც ოპოზიცია უცხოელების კარნახით ითხოვს“!

„ქართული ოცნების“ პრემიერობის კანდიდატი ირაკლი კობახიძეა, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე წარდგენილია შალვა პაპუაშვილი

გუშინ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომა გაიმართა, რომელსაც პარტიის საპატიო თავმდჯომარე ბიძინა ივანიშვილიც ესწრებოდა. სხდომის დამთავრების შემდეგ მედიას ინფორმაცია წარუდგინა მამუკა მდინარაძემ



– როგორც უკვე მოგეხსენებათ გაიმართა პოლიტსაბჭოს სხდომა, სადაც მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებთან ერთად განვიხილეთ სხვადასხვა საკითხები წლის ბოლომდე. ეს შეეხება პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს, სამიუჯეტო დაგეგმარების საკითხს საქართველოს პარლამენტში, საქართველოს პარლამენტს თავმჯდომარის კანდიდატურაის, ასევე მთავრობის დამტკიცებას და მათ შორის ასევე, პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნის საკითხს.

როგორც მოგეხსენებათ ჩვენი წესდების თანახმად, პარტიის საპატიო თავმჯდომარეს აქვს უფლებამოსილება წარადგინოს პრემიერობის კანდიდატი და არ იქნება ალბათ განსაკუთრებული სიურპრიზი ის, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა წარმოადგინა პრემიერობის კანდიდატად ბატონი ირაკლი კობახიძე და ბუნებრივია პოლიტსაბჭომ მას მხარი დაუჭირგა.

ასევე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება“ შალვა პაპუაშვილის კანდიდატურას წარადგენს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე.

ასევე ჩვენ გავიარეთ საბიუჯეტო საკითხები და მოგეხსენებათ, რომ გვაქვს ამ მიმართულებით ამბიციური გეგმები.

ასევე მოგეხსენებათ, რომ პრეზიდენტის არჩევნები უნდა იქნას ჩანიშნული პარლამენტის პირველი სხდომის შემდგომ, ამის კონკრეტული ვადა არის განსაზღვრული და უკვე ჩვენ მომდევნო დღეებში ამ თარიღსაც განვსაზღვრავთ, როდესაც პირველი სხდომა ჩაინიშნება საქართველოს პარლამენტში.

ეს არის ის სიახლეები, რაზეც 21 ნოემბერს პოლიტსაბჭოს სხდომაზე ვისაუბრეთ.

ანგელა მერკელი: ილუზიად მივიჩნიე ვარაუდი, რომ ნატოს წევრობის კანდიდატის სტატუსი საქართველოს და უკრაინას პუტინის აგრესიისგან დაიცავდა!

ილუზიად მივიჩნიე იმის ვარაუდი, რომ ნატოს წევრობის კანდიდატის სტატუსი უკრაინას და საქართველოს პუტინის აგრესიისგან დაიცავდა, ამ სტატუსს ისეთი შემაკავებელი ეფექტი ექნებოდა, რომ პუტინი მოვლენებს პასიურად მიიღებდა, – ამის შესახებ გერმანიის ყოფილი კანცლერის მემუარებშია ნათქვამი, საიდანაც ნაწყვეტები გამოცემა „დი ცაიტმა“ გამოაქვეყნა.

მერკელი წერს, რომ ესმოდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სურვილი, რაც შეიძლება მალე გამხდარიყვნენ ნატოს წევრები, მაგრამ ახალი წევრის მიღებამ არა მხოლოდ მათ, არამედ ნატოსაც უნდა მოუტანოს მეტი უსაფრთხოება.

გერმანიის ყოფილი კანცლერი მემუარებში აღნიშნავს, რომ დაინახა რისკები უკრაინის ყირიმის ნახევარკუნძულზე რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ხელშეკრულებით გარანტირებულ ყოფნასთან დაკავშირებით.

„გარდა ამისა, იმ დროს უკრაინის მოსახლეობის მხოლოდ უმცირესობამ დაუჭირა მხარი ქვეყნის ნატოში გაწევრებას“, – იხსენებს მერკელი.

გერმანიის მთავრობის ყოფილი ხელმძღვანელი წერს, რომ გაწევრების სამოქმედო გეგმა საქართველოს და უკრაინას ვერ დაიცავდა რუსული აგრესიისგან.

„შეიძლებოდა თუ არა იმის წარმოდგენა, რომ საგანგებო სიტუაციებში ნატოს წევრი ქვეყნები უპასუხებდნენ სამხედრო ძალით – სახსრებითა და ჯარით და ჩაერეოდნენ? შეიძლებოდა თუ არა წარმოდგენა, რომ მე, როგორც კანცლერი, გერმანიის ბუნდესტაგს ვთხოვდი ასეთ მანდატს ჩვენი ბუნდესვერისთვის და მივიღებდი უმრავლესობის მხარდაჭერას? საქართველომ და უკრაინამ „მაპ“-ის სტატუსის შესახებ ვალდებულება რომ არ მიიღეს, მათი იმედების უარყოფა იყო. ის ფაქტი, რომ ნატო მათ ასევე დაჰპირდა წევრობის ზოგად ვალდებულებას, პუტინისთვის ორივე ქვეყნის ნატოში გაწევრებაზე „დიახ“ ნიშნავდა და ასევე ომის გამოცხადებას“!

აშშ-ში, კონგრესში ახლად არჩეულ ტრანსგენდერს კაპიტოლიუმისა და სხვადასხვა ოფისების ქალთა საპირფარეშოებით სარგებლობა აეკრძალა

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერის, მაიკ ჯონსონის განცხადებით, ტრანსგენდერებს კაპიტოლიუმისა და სხვადასხვა ოფისების ქალთა საპირფარეშოებით სარგებლობა აეკრძალებათ. ამის შესახებ The Washington Post-ი იტყობინება.

მაიკ ჯონსონმა ცვლილებების შესახებ მას შემდეგ ისაუბრა, რაც კონგრესში ტრანსგენდერი ქალი სარა მაკბრაიდი აირჩიეს.

„მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ კონგრესის თითოეულ წევრს აქვს საკუთარი პირადი საპირფარეშო და უნისექსის ტუალეტები ხელმისაწვდომია კაპიტოლიუმის მასშტაბით. ქალები იმსახურებენ მხოლოდ ქალთა სივრცეებს“, – აცხადებს მაიკ ჯონსონი.

„სარა მაკბრაიდი ბიოლოგიურად კაცია. მისი ადგილი არ არის ქალთა სივრცეებში, ქალთა საპირფარეშოებში, გასახდელებში“, – განაცხადა რესპუბლიკელმა წარმომადგენელმა ნენსი მეისმა.

ცნობისთვის, მას შემდეგ, რაც ამ თვის დასაწყისში დელავერში აშშ-ის კონგრესში პირველად აირჩიეს ტრანსგენდერი სარა მაკბრაიდი, რესპუბლიკელმა წარმომადგენელმა ნენსი მეისმა წარადგინა კანონპროექტი, რომელიც მას კაპიტოლიუმში ქალების საპირფარეშოთი სარგებლობას უკრძალავს.

მაზაკვალი გახარია სამგლე გოჭივით იქცევა

გიორგი გახარია საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს მიმართავს, რომ მე-11 მოწვევის პარლამენტის პირველ სხდომას არ დაესწროს

გიორგი გახარია მოუწოდებს დიპლომატებს, „ერთად დავიცვათ საქართველოს მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის არსი, შინაარსი და აზრი, ერთად დავიცვათ არჩევნები, როგორც მთავარი დემოკრატიული ინსტრუმენტი საქართველოში ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილებისთვის“.

„განსაკუთრებით მივმართავ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საელჩოებს. დღეს, როდესაც ქვეყანა აშკარად ლეგიტიმაციის კრიზისშია, მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქეები ფიქრობენ, რომ არჩევნები და ხმა მოჰპარეს, მე კიდევ ერთხელ დიდი პატივისცემით უნდა ვთხოვო ჩვენს ქვეყანაში აკრედიტებულ ელჩებს, არ დაესწრონ მე-11 მოწვევის პარლამენტის პირველ სხდომას, რათა „ოცნებას“ მანიპულირების და სპეკულირების ლეგიტიმაციის შესაძლებლობა არ მიეცეს. მეორე მხრივ, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს და ჩვენს მხარდამჭერს მინდა ვთხოვო და მოვუწოდო, იმ დღეს, როცა ჩატარდება პარლამენტის პირველი სხდომა, დღევანდელ ხელისუფლებას ჩვენი საპროტესტო ხმა ყველამ ერთად გავაგონოთ, რომ არ ვთვლით ამ არჩევნებს არც სამართლიანად, არც დემოკრატიულად და, შესაბამისად, არ ვიღებთ ამ არჩევნების შედეგებს“...

გუშინ რუსეთმა უკრაინას კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა ესროლა!

ყველა მახასიათებელი: სიჩქარე, სიმაღლე ადასტურებს, რომ რუსეთმა უკრაინას კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა ესროლა, – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ გუშინ განაცხადა.

რუსეთს იმდენად ეშინია, რომ უკვე ახალ რაკეტებს იყენებს და მთელ მსოფლიოში ეძებს იარაღს. ხან ირანში, ხან ჩრდილოეთ კორეაში. დღეს იყო ახალი რუსული რაკეტა. ყველა მახასიათებელი: სიჩქარე, სიმაღლე ადასტურებს, რომ რუსეთმა უკრაინას კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა ესროლა. მიმდინარეობს ექსპერტიზა. აშკარაა, რომ პუტინი უკრაინას საწვრთნელ მოედნად იყენებს. აშკარაა, პუტინს ეშინია, როცა მის გვერდით ჩვეულებრივი ცხოვრებაა, როცა ადამიანებს უბრალოდ ღირსება აქვთ, როცა ქვეყანას უბრალოდ და აქვს უფლება, იყოს დამოუკიდებელი. პუტინი ყველაფერს გააკეთებს, რომ მეზობელი ხელიდან არ დაუსხლტეს. და მადლობას ვუხდი ყველა უკრაინელს, ყველა უკრაინელ ქალს, რომლებიც მტკიცედ, გამბედაობით და ძლიერად იცავენ უკრაინას ამ ბოროტებისგან.

ღირსეულად! – ეს არის ერთ-ერთი მთავარი სიტყვა უკრაინის შესახებ – ღირსება. და ეს არის სიტყვა, რომელიც, ალბათ, აღარასოდეს იქნება გამოყენებული რუსეთთან მიმართებით“, – განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

20.XI.2024

ინგლისური ენის ცოდნით საქართველო 113 ქვეყანას შორის 34-ე ადგილზეა

მსოფლიოში ინგლისური ენის ცოდნის დონის გამოსაკვლევად, შვეიცარიული საგანმანათლებლო ორგანიზაცია Education First ყოველწლიურად „ინგლისური ენის ცოდნის ინდექსს“ აქვეყნებს, რომლის ფარგლებშიც, 2024 წელს 116 არაინგლისურენოვანი ქვეყნისა და რეგიონის 2.1 მილიონზე მეტი მოსახლე გამოიკითხა.



მოსახლეობაში ინგლისური ენის ცოდნის შეფასება ტესტს ეფუძნება, რომლის მაქსიმალური ქულაც 800-ია. მიღებული შედეგებით კი ქვეყნები და რეგიონები ხუთ კატეგორიაში ნაწილდებიან: ცოდნის ძალიან მაღალი, მაღალი, საშუალო, დაბალი და ძალიან დაბალი დონით.

წლევანდელი ინდექსით საქართველო, 2023 წელთან შედარებით, ორი პოზიციით ჩამოქვეითდა და 34-ე ადგილი დაიკავა, თუმცა ზოგადი დონე გაიუმჯობესა: ქვეყნის შეფასება 543 ქულაა, რაც ინგლისური ენის ცოდნის მაღალ დონეს ნიშნავს. საქართველო გასულ წელს „საშუალო“ კატეგორიაში დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ 2023 წელს მხოლოდ ორი ქულით ნაკლები, 541 ქულა მიიღო.

ანგარიშში ცალკეა მოცემული ქულების გენდერული განაწილებაც, საიდანაც ირკვევა, რომ ტესტში ქალებმა, საშუალოდ – 531, კაცებმა კი 555 ქულა მოაგროვეს.

ამასთან, ინგლისური ენის ცოდნის ყველაზე მაღალი დონე 21-დან 25 წლამდე ასაკოგრიგ კატეგორიაშია, რომელთა საშუალო შეფასებაც 548 ქულაა.

გეოგრაფიული განაწილებით კი, ყველაზე უკეთ ინგლისურად თბილისში საუბრობენ, სადაც კვლევის მონაწილეებს 556 ქულა მიენიჭათ.

სამეზობლოში საქართველოს შეფასება ყველაზე მაღალია. შემდეგ მოდის სომხეთი – 537, რუსეთი – 532, თურქეთი – 497, ხოლო აზერბაიჯანი – 462 ქულით.

ჩინეთი და ყაზახეთი საქართველოზე გამავალი შუა დერეფნის გაფართოებას ჩქარობენ

საქართველოზე გამავალი შუა დერეფნის შესაძლებლობის გაფართოებაზე ყველა ჩვენი ახლო თუ შორეული მეზობელი დგამს ნაბიჯებს. ეს მეტად საყურადღებო საკითხია, რადგან აღნიშნულ დერეფანში მიუხედავად ტვირთნაკადის მატებისა, ჯერ კიდევ არ არის სასურველი ოდენობის ტვირთი მოზიდული. შესაბამისად, პროექტების განხორციელების ტემპი არასათანადოა.

ირკვევა, რომ ყაზახეთმა და ჩინეთმა კასპიის ზღვის სანაპიროზე საკონტეინერო კვანძის მშენებლობა დაიწყეს. ამის თაობაზე ინფორმაციას ყაზახეთის სატრანსპორტო სამინისტროს განცხადებაზე დაყრდნობით, ყაზახური მედია ავრცელებს.

„ეს პროექტი გაზრდის ქვეყნის პოზიციებს საერთაშორისო ლოჯისტიკურ სისტემაში და გაადვილებს სატრანსპორტო და ლოჯისტიკური სექტორის პოტენციალს. ჰაბის განხორციელება გაზრდის კონტეინერების ტრანსპორტირებას ტრანსკასპიის მიმართულებით აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის გავლით. ასევე ჩინეთიდან ევროპაში მიმავალი სატრანზიტო ტვირთის ნაწილის გადამისამართება მოხდება“, - ნათქვამია დეპარტამენტის განცხადებაში. სამუშაოების დასრულება 2025 წლის ზაფხულისთვის იგეგმება.

ამჟამად მიწის განაშენიანების სამუშაოები მიმდინარეობს. ადგილზე 20 ერთეულზე მეტი სპეციალური ტექნიკაა გამოყენებული. პროექტი ხორციელდება მანგისტაუს რეგიონში, ის გაზრდის აკტაუს პორტის გამტარუნარიანობას 240 ათას ოცი ფუტის ეკვივალენტურ ერთეულამდე.

დღეისათვის საზღვაო ნავსადგურებში კონტეინერების გადაზიდვის მაჩვენებელი 84%-ით გაიზარდა და შეადგინა 58 ათასი კონტეინერი, ხოლო ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის გასწვრივ კონტეინერების ტრაფიკის ზრდა 2,7-ჯერ აღინიშნა.

ეს მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც, რადგან ჩინური და შუა აზიური ტვირთის დიდმა ნაწილმა სწორედ ჩვენ ქვეყანაზე უნდა გაიაროს.

სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის დირექტორის **პაატა ცაგარეიშვილის** შეფასებით, საქართველოში ტრანსპორტის და ლოჯისტიკის სფეროში პირდაპირი ინვესტიციები არ შემოდის – თუ 2015-2016 წლებში მთლიანი უცხოური ინვესტიციების 35% მოდიოდა ტრანსპორტის და ლოჯისტიკის სექტორზე, ბოლო წლებში 4-5%-მდე დავიდა.

„საქართველოს რკინიგზა სატრანსპორტო დერეფნის ხერხემალია და სწორედ მასზე უნდა მოხდეს ტვირთების გენერირება, მაგრამ ინვესტიციებზე რომ ვთქვათ, ბოლო 5-6 წლის მანძილზე საქართველო არის **BB** დონეზე, რაც ნიშნავს სანაგვე ბონდების დონეს. შედარებისთვის, ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი 3 საფეხურით მაღლა დგას ამ საინვესტიციო მიმზიდველობით. სარკინიგზო რეიტინგი დიდი ხანია, შემცირებულია, ამიტომ ინვესტორი ამ მიმართულებით არ მოდის.

სატრანზიტო ამბიციის მქონე ქვეყნისთვის, მთლიან შიდა პროდუქტში 7% უკავია ტრანსპორტის სექტორს, როდესაც ასეთი მაჩვენებელი მხოლოდ ჩიხური ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. ინვესტიციის ნაკლებობა და კორუფციული მომენტები, აიძულებს ტვირთმფლობელს, დაბრუნდეს ძველ ალტერნატიულ მიმართულებაზე“, – განაცხადა ცაგარეიშვილმა.

მისი თქმით, გართულებულია სახმელეთო გადაზიდვებიც.

„გართულებულია საქართველოს სახმელეთო საავტომობილო გადაზიდვებიც, თუნდაც ნებართვების თვალსაზრისით, თუნდაც ევროპის სივრცეში შეღწევის თვალსაზრისით. ასევე საქართველოს ნავსადგურებში, 2021 წელს 16.5 მლნ ტონა გადამუშავდა, 2022 წელს - 15 მლნ, 2023-ში – 13.8 მლნ ტონა. ეს შემცირება არის ძალიან სენსიტიური მაჩვენებელი“, – განაცხადა კვლევითი ცენტრის დირექტორმა.

ბექა დანელია



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აქვეყნებს აკადემიის სტიპენდიატთა ვაკანსიების დასაკავებლად რეგისტრირებული კანდიდატების სიას სპეციალობების მიხედვით:

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	
სპეციალობა, ვაკანსია	სტიპენდიატობის კანდიდატი
მათემატიკა – 1 ვაკანსია	**– ტეფნაძე გიორგი – მათემატიკის დოქტორი**
დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება	
სპეციალობა, ვაკანსია	სტიპენდიატობის კანდიდატი
გეოფიზიკა – 1 ვაკანსია	**ქირია თენგიზ – მათემატიკის დოქტორი**
საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება	
სპეციალობა, ვაკანსია	სტიპენდიატობის კანდიდატები
ინფორმაციული ტექნოლოგიები – 1 ვაკანსია	**1. ნოზაძე ლაშა - ინფორმატიკის დოქტორი 2. ცინცაძე მაგდა – ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი 3. კეკელია ბესიკ – ინფორმატიკის დოქტორი**
ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	
სპეციალობა, ვაკანსია	სტიპენდიატობის კანდიდატები
მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმია – 1 ვაკანსია	**1. ზავრადაშვილი ნინო – ქიმიის დოქტორი 2. ავქოფაშვილი გურანდა – ქიმიის დოქტორი 3. ტიტვინიძე გიორგი – ქიმიის დოქტორი**
ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	
სპეციალობა, ვაკანსია	სტიპენდიატობის კანდიდატები
ბიოლოგია – 1 ვაკანსია	**1. ბარჯაძე შალვა – ბიოლოგიის დოქტორი 2. ზაალიშვილი გიორგი – ბიოლოგიის დოქტორი 3. ტყეშელიაძე ეთერ – აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი**
ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება	
სპეციალობა, ვაკანსია	სტიპენდიატობის კანდიდატები
მედიცინა – 2 ვაკანსია	**1. გოგიბერიძე ანზორ – მედიცინის დოქტორი 2. ვაჩაძე ნიკოლოზ – მედიცინის დოქტორი 3. ბესელია გელა – მედიცინის დოქტორი 4. ცომაია ქეთი – მედიცინის დოქტორი 5. აბიათარი ივანე – მედიცინის დოქტორი**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	
სპეციალობა, ვაკანსია	სტიპენდიატობის კანდიდატები
სურსათის უვნებლობა – 1 ვაკანსია	**1. ხაჭაპურიძე ჟუჟა – აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი 2. მეტრეველი მაია – საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი**
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	
სპეციალობა, ვაკანსია	სტიპენდიატობის კანდიდატები
სამართალი – 1 ვაკანსია	**1. ქანთარია ბექა - სამართლის დოქტორი 2. კალანდარიშვილი-მიულერი ნათია - სამართლის დოქტორი**
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	
სპეციალობა, ვაკანსია	სტიპენდიატობის კანდიდატები
ენათმეცნიერება – 1 ვაკანსია	**1. ბარათაშვილი ზურაბ – ფილოლოგიის დოქტორი 2. ყანდაშვილი ხათუნა – ფილოლოგიის დოქტორი**

ბია აბასშიძე

არ გამიკვირდება, ზურაბიშვილი თბილისის ქუჩებში მალე სტვენით და ყვირილით ვიხილოთ

დაეხმარება თუ არა ოპოზიციას პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ახალი გეგმა და შეაფერხებს თუ არა მისი გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას, 25 ნოემბერს მე-11 მოწვევის პარლამენტის შეკრებას?

პრეზიდენტი ამბობს, რომ საპარლამენტო არჩევნების შედეგებს არ აღიარებს და უმოკლეს ვადაში ახალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით გამოდის. ზურაბიშვილმა ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით 19 ნოემბერს მიმართა და არჩევნების საბოლოო შედეგების არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა. ინფორმაციას ამის შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

უწყების ცნობით, არჩევნების საყოველთაობისა და ფარულობის პრინციპების დარღვევიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტი მოითხოვს არჩევნების მომწესრიგებელი სადავო ნორმებისა და მათ საფუძველზე ჩატარებული არჩევნების საბოლოო შედეგების არაკონსტიტუციურად ცნობას. გათუმში პრეზიდენტის სარჩელი საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელმა **ეკა გესელიამ** შეიტანა.

ეკა გესელიას განცხადებით, პრეზიდენტმა სარჩელი შეიტანა, რათა გამოყენებული იქნეს ყველა სამართლებრივი მექანიზმი.

მანამდე კი, 18 ნოემბერს, პრეზიდენტმა ათონელის სასახლეში ჩატარებულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ საერთაშორისო მხარდაჭერით საჭიროა ახალი საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება, ცვლილებები კოდექსში და საარჩევნო დავების სპეციალური სასამართლოს შექმნა. სალომე ზურაბიშვილი არ ცნობს არც მოქმედ მთავრობას და მიაჩნია, რომ ამ ვითარებაში მე-11 მოწვევის პარლამენტის შეკრება არ უნდა მოხდეს, ხოლო თავად პრეზიდენტად უნდა დარჩეს. პარალელურად, ზურაბიშვილი „ორხელისუფლებიანობაზე“ საუბრობს და ამბობს, რომ ეს ქვეყნისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

ზურაბიშვილმა მოსახლეობას საპროტესტო აქციებში მონაწილეობისკენაც მოუწოდა და განაცხადა, რომ საზოგადოებამ გრძოლა უნდა განაგრძოს.

ზურაბიშვილს მმართველი გუნდიდან პასუხი უკვე გასცეს. 19 ნოემბერს მმართველი პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა **მამუკა მდინარაძემ** პრეზიდენტის საკონსტიტუციო სარჩელის თაობაზე განაცხადა, რომ ჯერ გაირკვეს, რომელ სარჩელში, რომელ ნორმას გულისხმობენ და შემდეგ გასცემენ პასუხს.

სახელისუფლებო პარტიაში არ უკვირთ, რომ საკონსტიტუციო სარჩელით და პარლამენტის სხდომის დანიშვნაზე უარით ზურაბიშვილი ქვეყნის იმიჯის დაზიანებას ეწევა. უახლოეს დღეებში გაირკვევა, იღებს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლო სალომე ზურაბიშვილის სარჩელს წარმოებაში, ამის შემდეგ, 30 დღის განმავლობაში მსჯელობა უნდა დაიწყოს. პრეზიდენტის სარჩელს, სავარაუდოდ, სასამართლოს პლენუმი განიხილავს.

სამართლებრივი პროცესის პარალელურად, აქტუალურია შეკითხვა – შეძლებს თუ არა პარლამენტი საკონსტიტუციო სარჩელის მიღების ფონზე შეკრებას?! სხდომის გამართვა რომ შესაძლებელია კონსტიტუციონალისტების ნაწილიც ადასტურებს, თუმცა აქცენტს იმაზე აკეთებენ, რომ პირველსავე სხდომაზე სამანდატო კომისია ინფორმირებული იქნება სარჩელების თაობაზე და სხდომა სწორედ ამ მიზეზით უნდა შეწყდეს.

პროცესი კი საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების შემდეგ უნდა განახლდეს. ეს ყველაფერი კი სწორედ სარჩელის დასაშვებობაზეა დამოკიდებული. პრეზიდენტის მსგავსად საპარლამენტო არჩევნების არაკონსტიტუციურობის დადგენას ითხოვს ოპოზიციაც. „ნაციონალური მოძრაობაში“ ამბობენ, რომ საკონსტიტუციო სარჩელით სასამართლოს 20 ნოემბერს პარლამენტის 30-მა წევრმა მიმართა. ხელისუფლების ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ადგილობრივ დონეზე ყველა სამართლებრივი ბერკეტის გამოყენება საშუალებას მისცემთ, პროცესმა საერთაშორისო დონეზე გადაინაცვლოს.

„ქართული ოცნების“ ლიდერების განცხადებით, პარლამენტის სხდომის დანიშვნას გარიერი ვერ შეექმნება და ის დაგეგმილ ვადაში ჩატარდება.

„მაგრამ თუ მიზანია, რომ შეაფერხოს ახლად არჩეული პარლამენტის შეკრება, უფლებამოსილების ცნობა, ასეთი ნორმა ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს. არსებობს მხოლოდ გარკვეული ჩანაწერები, რომელიც გარკვეულ ინდივიდუალურ საკითხებს შეეხება. ნორმა, რომელიც, ზოგადად, პარლამენტის საქმიანობას შეაფერხებს და უფლებამოსილების ცნობის საკითხს, არ არსებობს. საკონსტიტუციო სასამართლოში ასე, დამოუკიდებლად არჩევნები არ საჩივრდება. საჩივრდება კონსტიტუციის და კანონების მიხედვით ნორმა ან ნორმის ნორმატიული შინაარსი და არჩევნები ამ ნორმიდან გამომდინარე“, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

თამარ კიკნაძე:

სოფისტურ პოლიტიკას არავითარი საერთო არა აქვს რეალობასთან!

ოპოზიცია მალე ორღობეებისა და ვიწრო შუკების გადაკეტვას შეეცდება, რადგან დიდ გამბირებსა და ფართო ქუჩებს ვერ ავსებენ ხალხით. ის ლოკაციაც, რაც მათ აირჩიეს, შემთხვევით შერჩეული არ ყოფილა – ჭავჭავაძის გამზირსა და მელიქიშვილზე სტუდენტობა მოძრაობს და მათი სურვილია, იქნებ, როგორმე ჩაეთვალოთ ეს მოძრავი სტუდენტობა მომიტინგეების რაოდენობაში.

„ერთი ქუჩიდან გაგვიშვებენ, მეორეზე გადავალთ, მეორიდან გაგვიშვებენ, მესამეზე გადავალთ“, – იმუქრება სოფო ჯაფარიძე.

ხელოვნურად გადაკეტილი გზების გამო საზოგადოება აღშფოთებულია, ვინაიდან გადაადგილება ფერხდება რამდენიმე მიმართულებით – მელიქიშვილის გამზირზე, ვარაზისხევზე, კეკელიძის ქუჩასა და ჭავჭავაძის გამზირზე. ნაგვის ურნებით და სკამებით ჩახერგილი გზები, ექვთიმე თაყაიშვილის ბიუსტის შებღალვა, გამვლელების დაბულინგება – სწორედ ეს არის ოპოზიციის არსენალი და მათი მხრიდან ე.წ. მშვიდობიანი ფორმით გამოხატული პროტესტი.

უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე არ მალავს, რომ მმართველ გუნდს უწევს საკუთარი მომხრეების შეკავება, რადგან ადამიანები ეხვეწებიან, მიუშვან ამ ოპოზიციაზე.

„თუ ეს მისაღები ფორმაა, ოპოზიციის ლიდერებს გადაშავებულს ვატარებ. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ადამიანი გვეხვეწება, მივუშვათ, ჩვენს ბევრ მომხრეს დიდი სურვილი აქვს, ამ მატყუარა აგენტებს შავი საღებავი, ან მელანი გადაასხას“, – აცხადებს მამუკა მდინარაძე.

თსუ-სთან ხელისუფლებამ „კარვების აქცია“ ორჯერ დაშალა და ხელოვნურად გადაკეტილი გზა გაათავისუფლა, ამის მიუხედავად, ოპოზიციამ აქციის გამართვა კვლავაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გააგრძელა.

სადამდე იქნებიან წანწალის რეჟიმში და როდის დაასრულებენ ხელოვნურ წინააღმდეგობას? ხომ არ არის დაპირისპირების საფრთხე მათი აქციებით შეწუხებული ხალხის მხრიდან?!

პოლიტოლოგი, პროფესორი თამარ კიკნაძე For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ოპოზიციის აქციებზე ხალხის რაოდენობა ნამდვილად არ არის ბევრი. ამის მიუხედავად, გზა მაინც გადაკეტილია და აღშფოთებული მოსახლეობა ითხოვს, გზა გაიხსნას, რადგან ბევრი ადამიანი სამსახურშია წასასვლელი, ზოგი – სასწავლო დაწესებულებაში.

„კარვების აქცია მილევად რეჟიმშია. ვერ შეაგროვეს ხალხის ის რაოდენობა, რომელიც მათ მხარს უჭერს. ეს აქციები არაპოპულარულია. დღის წესრიგი, რასაც ისინი გვთავაზობენ, საქართველოსთვის აქტუალური არ არის და მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის მიუღებელია. შესაბამისად, აქციებიც არ შეიძლება იყოს მრავალრიცხოვანი და შედეგის მომტანი, თუკი პროვოკაციებს არ ექნება ადგილი. ეს არის საფრთხე, რომ პროვოკაცია არ მოაწყონ“, – აცხადებს თამარ კიკნაძე და საპროტესტო აქციებში სტუდენტების ნაძალადევ ჩართვას ეხმიანება.

პროფესორის განმარტებით, არავისთვის დაფარული არ არის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ბევრი ლიდერი პროფესორმასწავლებლადაა უნივერსიტეტში და ისინი ახდენენ გავლენას სტუდენტებზე. ყველამ კარგად იცის, როგორი რიტორიკაც ახასიათებთ მათ. ამდენად, თამარ კიკნაძე, რომელიც უკვე წლებია, როგორც პროფესორი, მუშაობს უმაღლეს სასწავლებელში, ხელისუფლებას კარგა ხანია, მოუწოდებს, რომ სასწრაფოდ გასატარებელია განათლების რეფორმა.

„თუ ასე გავაგრძელეთ, ალბათ, მალე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება მოგვიხდება. ირაკლი პოგახიძემ არჩევნებამდე თქვა, რომ განათლება პრიორიტეტულია ამ ხელისუფლებისთვისო და დააანონსა მთელი რიგი ცვლილებები. რაც მალე გაკეთდება ეს, მით უკეთესი, რადგან, ჯერ ერთი, უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნის დონე არ არის დამაკმაყოფილებელი. გარდა ამისა, სასწავლებლებში მიმდინარეობს საქართველოსთვის არასასურველი იდეოლოგიით სოციალიზაციის პროცესი“.

თამარ კიკნაძის შეფასებით, უმაღლეს სასწავლებლებში შედის სოფისტური პოლიტიკა, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს რეალობასთან. სასწავლო დაწესებულებები ეს არის ყველაზე უფრო აქტიური სოციალური გავლენის დაწესებულებები, ამიტომ უნდა შემუშავდეს შესაბამისი იდეოლოგია, რომელიც უნდა გავრცელდეს სასწავლებლებში, რათა ქუჩაში გამოსული ახალგაზრდები იმ სოფისტური იდეოლოგიის მსხვერპლნი არ გახდნენ, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებშია გამეფებული. პოლიტოლოგი აცხადებს, რომ ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და არ გვაქვს იმის ფუფუნება, გვყავდეს გაუნათლებელი ახალგაზრდობა. რაოდენობა ხარისხში გადადის. ტექნოლოგიური და განათლებაზე ორიენტირებული კონკურენციის პირობებში ეს სფერო სასწრაფოდ მისახედია.

მანანა ნოზაძე

შეცდომა თუ დანაშაული?! საქართველოს რესპუბლიკა

„ჩაკეტილი სამყარო იყო“

სევდია უგრეხელიძე:

კიტოვანის და იოსელიანის ლეგიტიმურობა ცნო დასავლეთმა და გამსახურდიასი არა, ეს არ იყო შეცდომა?

„ამ დღეებში ითქვა, რომ ზვიად გამსახურდიას ბრალდებოდა ნაციონალისტობა და სინამდვილეში ეს ასე არ იყო, დღეს გაირკვა და დღეს იწერება ამის შესახებ საზღვარგარეთ“, – ამის შესახებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს წევრმა სევდია უგრეხელიძემ გადაცემა „ვახო ხუზმიაშვილის თავისუფალ სივრცეში“ წამყვანის კითხვის (**როდესაც, კანონიერი უზენაესი საბჭო დაამხვეს და შემდეგ მოვიდა კიტოვანის, ჯაბა იოსელიანის, თენგიზ სიგუას პარლამენტი, ამის ლეგიტიმაცია ისე ცნო მთელმა მსოფლიომ, რომ შეფასება არ ჰქონდა ზვიად გამსახურდიას უზენაეს საბჭოს და რამდენად რელევანტურია, როდესაც საუბრობთ გვექნება თუ არა ლეგიტიმაცია?**) პასუხად განაცხადა.

„რამდენი წლის წინ იყო ეს ამბავი?! ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს იყო საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდი და მსოფლიო იყო ეიფორიაში... მათთვის არ დაგავიწყდეთ, რომ უკვე ორ თვეში მოვიდა შევარდნაძე, ხოლო შევარდნაძე მათთვის იყო საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-ერთი ხელშემწყობი. მაშინ არ იყო ეს ისე თვალნათელი, არ იყო ეს სიტუაცია, დღეს ითქვა, რომ ზვიად გამსახურდიას ბრალდებოდა ნაციონალისტობა და სინამდვილეში ეს ასე არ იყო, დღეს გაირკვა და დღეს იწერება ამის შესახებ საზღვარგარეთ. ჩაკეტილი სამყარო იყო და ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი იყო საქართველო.

ხომ იცით გამოთქმა, ამერიკა გვიან იღებს გადაწყვეტილებებს, მაგრამ საბოლოოდ იღებს სწორ გადაწყვეტილებებს“, – განაცხადა სევდია უგრეხელიძემ.

კითხვაზე დასავლეთს ჩვენთან შეცდომები მოსვლია თუ არა, სევდია უგრეხელიძემ განაცხადა – „როგორ არ მოსვლია, მაგრამ დრო მიდის და თანდათანობით გვიან, მაგრამ ისინიც იგებენ თუ სად დაუშვეს შეცდომა“.

27-მა სახელმწიფომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ცნო და დანარჩენებმა შემდეგ ცნეს.

საბჭოთა კავშირის დაშლა იყო მთავარი, მერე უკვე ინფორმაციის გავრცელება, ის რომ უკვე შევარდნაძე კორუმპირებული ხელისუფლება იყო – ნელ-ნელა ცნობილი გახდა.

ზვიად გამსახურდია 14 თვე იყო მხოლოდ – 27-მა სახელმწიფომ ცნო“, – აღნიშნა უგრეხელიძემ.

ხუზმიაშვილის კითხვაზე, **„სახელმწიფო რომ დაამხვეს პუჩისტებმა, ეს ცნო დასავლეთმა?“**

რესპონდენტი პასუხობს: **ის, რომ უკანონო იყო ხელისუფლება ამასთან დაკავშირებით იყო ცალკეული დასკვნები. სახელმწიფოებრივად იმდენად მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა კავშირის დაშლა ამ გლობალურ ამბავში და ამასთან, მთავარი იყო, მსოფლიო ომი არ ყოფილიყო, ჩაიკარგა ჩვენი პრობლემა, ისევე როგორც იუგოსლავიის დაშლის დროს მოხდა.**

ახლაც, ისევე როგორც გამსახურდიამ აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა ასევე, ღმერთმა დაიფაროს, ჩვენ რომ ახლა დავკარგოთ დამოუკიდებლობა, რასაც ახლა „ოცნება“ გვიმზადებს, და ჩაგვაბაროს რუსეთს – აღსადგენი იქნება დამოუკიდებლობა, ზვიად გამსახურდიას მიერ აღდგენილი დამოუკიდებლობის 9 აპრილის აქტის საფუძველზე. თუ ჩვენ ახლა ვერ გადავარჩინეთ“, – აღნიშნა უგრეხელიძემ.



ხუზმიაშვილის კითხვაზე, **“როდის უნდა ვირწმუნოთ ზურაბიშვილის, როცა გამსახურდიას ეძახდა დიქტატორს თუ დღეს?”**

უგრეხელიძე პასუხობს:

„ადამიანებმა კი არ უნდა გვწამდეს, არამედ საქმეების. ჩვენ ამას სახარებაც გვეუბნება“.

„სირცხვილია, როდესაც ქვეყნის დე ფაქტო პრეზიდენტი საუბრობს იმაზე, რაც გუნებაში და კანონით არ არსებობს. ასეთი ტერმინიც კი გაჩნდა, რომ ის სასახლოგანას თამაშობს. მას უკვე იმხელა ჟინი გაუჩნდა და ტკბება ამ თანამდებობაზე ყოფნით, რომ მოიგონა რაღაც სისულელე, რომ სიტუაცია 26 ოქტომბრის ვითარებას დაუბრუნდეს. ესე იგი თვითონ ისევ რჩება თანამდებობაზე, დროებითი პარლამენტია თუ ხელისუფლებაა დროებითი, ვერავინ ვერაფერი გაიგო. ეს ქალი ისეა საპუთარ ლოგიკაში დაპარგული, რომ იურიდიულ ნიუანსებში თავადაც ვეღარ გაიკვლია გზა. სირცხვილია, რომ ის პრეზიდენტია და საზოგადოებაში თავს მორიგ ჯერზე მასხრად იგდებს. არ გამიკვირდება ამის შემდეგ, ზურაბიშვილი მელიქიშვილის ან რუსთაველის გამზირზე სტვენით და ყვირილით ვიხილოთ ან 25 ნოემბერს პარლამენტის კარებთან გოქლომით მოვიდეს. ეს ქალბატონი უკვე ყველანაირ ადეკვატურ ქმედებებს გასცდა“, – ამბობს აბაშიძე.

მისივე თქმით, ეს არის პრეზიდენტის მორიგი გაფართხალება, რაც არაფერს ნიშნავს და მას პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის სულ რამდენიმე დღე დარჩა.

„რა სამწუხაროა, რომ კონსტიტუციის დამრღვევმა ზურაბიშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოში ფარატინა ქაღალდით და ფსევდობრალდებებით სარჩელი შეიტანა, რომელსაც ვეღარც ქვეყნის შიგნით და ვეღარც მის გარეთ ვერავის აჯერებენ. ამიტომ წასვლამდე კიდევ ერთხელ საკუთარი თავი ხალხს მასხრად ააგდებინა. ზურაბიშვილი ოპოზიციას ვერაფრით დაეხმარება, რადგან ხავსს ეჯიდებიან და ცოტახანში წყალიც წაიღებთ. პრეზიდენტი იმეორებს ჯამბაზი და თაღლითი ხაზარაძის უწინდელ დაპირებებს, საუბრობენ რაღაც სახლახო პარლამენტზე. ეს ყველაფერი ხომ სიცილ-ხარხარის გარდა საზოგადოებაში არაფერს აღარ იწვევს. ვურჩევ, როდესაც ზურაბიშვილს ვადა გაუვა, წავიდეს „ლელოს“ ოფისში და რაღაცა პარლამენტის თვითმარქვია თავმჯდომარედ იქ გამოაცხადოს თავი. არანაირი კავშირი სერიოზულ პოლიტიკურ ცხოვრებასთან მას არა აქვს. იმის მაგივრად, რომ ღირსეულად აღიარონ დამარცხება, იგონებენ რაღაცა ქვიშის თამაშს, რომელშიც სახლებს აგებენ და ეს ავანტიურისტული გეგმა ქვიშაში იშლება“, – ამბობს აბაშიძე.

მისი თქმით, ხელისუფლება დაელოდება პრეზიდენტის არგუმენტებს და სარჩელის საფუძვლებს.

„წინასწარ გარანტიას გაძლევთ, რეალურს, ვერაფერს, იმიტომ რომ ისეთი ნორმა, რაც მათ მიზნებს დაემთხვევა, საქართველოს კანონმდებლობაში და ქართულ კონსტიტუციაში არ არსებობს. თვითმიზანი არის ხალხის მოტყუება. თვითმიზანიც ეს არის, მიზანიც და რაღაც მანიპულაციები, რომელიც ქუჩაშია გადატანილი“...

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე for.ge**-სთან ამბობს, რომ ზურაბიშვილის განცხადებები და საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანა, ნამდვილად კომიკურია და საღ აზრს არ შეესაბამება. აბაშიძე ამბობს, რომ ის რეალობიდან იმდენად არის გასული, რომ სიბრიყვეების თქმით, ლევან ხაბეიშვილს და გიორგი ვაშაძესაც კი გადაასწრო.

კოლექტიური ნაციისტებისთვის ძალაუფლების წყარო და ლეგიტიმაციის მიმცემი არის არა ქართველი ხალხი, არამედ უცხოეთი!!!

საზოგადოება ქართული

„კოლექტიური ნაციონალური მოძრაობისათვის“ ისევე, როგორც ქართველი გოლშევიკებისთვის, ძალაუფლების წყარო და ლეგიტიმაციის მიმცემი არის არა ქართველი ხალხი, არამედ უცხოეთი“, – ამის შესახებ საზოგადოება „ქართულის“ წერილშია ნათქვამი, რომელიც 20 ნოემბერს გავრცელდა.

„საზოგადოება „ქართული“ ორი კვირის წინათ, 8 ნოემბერს გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნავდა, რომ გარედან მართული ოპოზიცია ქართულ პოლიტიკაში წარმოადგენს ქვეყნის სტაბილური განვითარებისთვის დესტრუქციის მთავარ წყაროს.

ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა 18 ნოემბერს, როდესაც ცნობილი გახდა ევროკავშირისთვის გაგზავნილი საიდუმლო წერილის შინაარსი, რომელსაც ხელს აწერს „კოლექტიური ნაცმოძრაობის“ ოთხეული: „ნაცმოძრაობა“, „ახალი“, ხაზარაძის და გახარიას პარტიები.

წერილში ოპოზიციონერები ითხოვენ თბილისთან ოფიციალური კომუნიკაციის შეჩერებას, საქართველოსთვის ფინანსური ტრანშების გაყინვას, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს გაუქმებას და მკაფიო განცხადებას, რომ ქვეყნის ევროინტეგრაცია შეჩერებულია.

დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია ისიც, რომ პირისპირ შეხვედრებისას, ოპოზიციის, თუ მილიონერი ენჯეოების წარმომადგენლები დასავლელ პატრონებს პირდაპირ სთხოვენ ქვეყნისთვის ვიზალიბერალიზაციის შეჩერებას და ოპონენტების პერსონალურ სანქცირებას.

საქართველოს ისტორიაში მეტროპოლიასთან მაბეზღრობის სენი არახალია. წარსულშიც და ახლაც ხელწერა, სტილი და სულისკვეთება მსგავსია, რადგან საქმე გვაქვს საკუთარი ქვეყნის და ხალხის წინააღმდეგ მავნებლობასთან. შორს რომ არ წავიდეთ, ის რასაც აკეთებს დღეს დესტრუქციული ოპოზიცია, წვეთი წყალივით ჰგავს საუკუნის წინანდელი ქართველი ბოლშევიკების ქცევას. უფრო მეტიც, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ბოლშევიკური სული და სერგო ორჯონიკიძის მოღალატეობრივი იდეოლოგია დამოუკიდებელ საქართველოში ნეოლიბერალიზმის, როგორც ნეობოლშევიზმის ნაირსახეობის, ფორმით დაბრუნდა.“ – ნათქვამია წერილში.

საზოგადოება „ქართული“ მწვავედ აკრიტიკებს სალომე ზურაბიშვილსაც:

„პრეზიდენტი, რომელიც ბოიკოტს უცხადებს საკუთარი ხალხის ნებას და მათ უცხოური ძალებით ემუქრება, თავად ამბობს უარს მინიმალურ ლეგიტიმაციაზეც კი და „საპატიო“ ადგილს იკავებს დღევანდელი ოპოზიციის „შულავერის კომიტეტის“ გალერეაში.“

საზოგადოების თანადამფუძნებლები იმედს გამოთქვამენ, რომ ახალი მთავრობა, რომელსაც მალე აირჩევს ახალი მოწვევის პარლამენტი, ქართველ საზოგადოებასთან ერთად, შეძლებს უცხოეთიდან მართული და გარედან დაფინანსებული პარტიების პოლიტიკური არენიდან გაძევებას, რათა ქვეყანა არ დარჩეს მუდმივი რყევისა და ხელოვნური დესტაბილიზაციის რეჟიმში.

წერილი ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტებისთვის მხარდაჭერის გამოცხადებით სრულდება:

„გვინდა სრული მხარდაჭერა გამოვუცხადოთ ტელეკომპანია „იმედის“ თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობას, რომელთაც დღეს მუშაობა უწევთ „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გენერირებული და მათი პატრონების მიერ წახალისებული სიძულვილის ატმოსფეროსა და აღვირახსნილი ძალადობის პირობებში.“

საზოგადოება „ქართული“, რომლის წევრებიც მეცნიერების, კულტურისა და სპორტის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან, 14 აპრილს დაფუძნდა და აქტიურადაა ჩართული მიმდინარე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებში“.



სიმდაბლის სიმაღლე

სხვისა არ ვიცი და ჩემთვის ადამიანობის განმსაზღვრელი თავმდაბლობაა. მას ცხოვრების სიბრძნედ მივიჩნევ, რადგან შეუძლია ისე „დაბლა“ გამყოფოს, ძნელად, ვინმე ამპარტავანი შემოგწვდეს... საზომია მაღალი და იმიტომ! აკი შესთხოვდა კიდეც ეგზიუპერი ღმერთს: „მაქციე ადამიანად, რომელსაც შეუძლია მისწვდეს მათ, ვინც ყველაზე დაბლააო“.

მთელი ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის განმავლობაში არაერთ მაღალჩინოსანს, სწავლულსა თუ წარმატებულს შევხვედრივარ, არც ნოდარ დუმბაძის შეგონება დამვიწყებია: „ადამიანი ფრესკა არ არის, გარშემო უნდა შემოუარო და იმ კუთხიდან დაინახო, საიდანაც კარგად ჩანსო, მაგრამ ბევრი ამ სტანდარტშიც ვერ ჯდებოდა და... უდავოა, კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდება!“

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თემურ ჯაგოდნიშვილს თითქმის ოცდათორმეტი წელიწადია, ვიცნობ. იგი იყო ჩემი მკითხველი, სამეცნიერო ხელმძღვანელი და მეამაყება, რომ ვარ იმ დეპარტამენტის თანამშრომელი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების), რომელსაც ის ხელმძღვანელობს.

სათქმელი, თავმდაბლობის გამოკვეთით, ჰაიჰარად არ დამიწყია, თემურ ჯაგოდნიშვილის ამ უმთავრესმა მახასიათებელმა მიკარნახა. არადა, იმ წიგნების რაოდენობასა და მნიშვნელობაზე,რომ არაფერი ვთქვათ, რომელთა ავტორიც არის, საამაყოდ და თავმოსაწონად წიგნი „მეფე ერეკლეს ეპოსი“ და „ხანძთა: ძველი, ახალიც“ ეყოფა. თუნდაც იმიტომ, რომ „ერეკლეს ეპოსის“ გამოვლენით – ფოლკლორული ტექსტის დადგენით შეივსო ქართულ ფოლკლორში არსებული სიცარიელე, გამოვლინდა საგმირო-საისტორიო ხალხური ეპოსი – ერეკლე მეორის ციკლური ეპოსი, რომელმაც ჩვენი ხალხის ეპიკური ცნობიერება, რეალობის მხატვრული აღქმა და გაცნობიერება გაამთლიანა. ამით ხალხური ეპიკური აზროვნების ყველა ეტაპი გამოვლინდა და დალაგდა, დაწყებული მითოლოგიით, საგმირო-რომანტიკული ეპოსით, საგმირო-საისტორიო და ბოლოს, უკვე სოციალური ეპოსით.

მიაჩნია:

საგმირო-საისტორიო საფეხური იმდენად არის მნიშვნელოვანი, რომ ამ ეტაპზე ხდება ერის მიერ საკუთარი არსებობის ისტორიული გააზრება, საკუთარი მისიის გაცნობიერება, თუ რატომ, რისთვის არსებობს ერი, რა არის მისი ამქვეყნიური არსებობის გამართლება. სწორედ ეს ჩანს „ერეკლეს ეპოსში“ და კიდევ ის, რომ იგი არის ქრისტეს ჯვრის მატარებელი და ამ დიდი ცივილიზაციისთვის თავშეწირული ერი. ეს არის მისი მცდელობა არსებობის შესანარჩუნებლად და იმ იდეის გადასარჩენად, რასაც ქრისტიანული ცივილიზაცია, ქართული ქრისტიანობა და ქართული ცივილიზაცია ჰქვია.

თემურ ჯაგოდნიშვილი, უპირველესად, ფოლკლორისტია და, რადგან იცის, ფოლკლორი ხალხის მიერ შექმნილი ხელოვნებაა – ნივთიერიც, სულიერიც, ხელოვნების ენით მოთხრობილი ეროვნული ისტორიაც და თანადროულობაც... ხელი მოჰკიდა ერეკლეს შესახებ ფოლკლორული ტექსტების გაერთიანებას.

ფოლკლორშია შთაბეჭდილი (ხოლო შემდგომ აღბეჭდილი) ერის მენტალობა, სამყაროს აღქმა-გააზრების დიდი შინაარსი, თანაც შეულამაზებლად, გულუბრყვილობამდე მისული პირდაპირობით, ევფემიზების გარეშე.

ამგზებს:

ფოლკლორში ერი თავის თავს ჭვრეტს – თავის წარსულს, მომავალს, აწმყოს და იცნობიერებს, რატომ არის ამგვარი და არა სხვანაირი, ჭვრეტს საკუთარი ხელით შექმნილი ხელოვნების სახიერებას და განუმეორებლობას, შეიგრძნობს თავის მონაწილეობას ამ ხელოვნების რაობის შექმნაში, ამიტომაც ეძვირფასება იგი.

ქართული ხალხური სიმღერა... ქართული ხალხური ყოფა, სულიერი კულტურა, სულიერი ცნობიერება – აი, თემურ ჯაგოდნიშვილის ინტერესის სფერო როგორც მეცნიერის, რიგითი ქართველის, როგორც ერთი ჩვეულებრივი, სოფლელი ბიჭის, რომელსაც ცხოვრებაში გაუმართლა და ის განათლება მიიღო, რომელზედაც ოცნებობდა – ფილოლოგია, რაიც ბავშვობის ასაკიდან აჰყვა და თავიდან ლიტერატურის კითხვაში გამოიხატებოდა. ამიტომაც ცდილობს დღენიადაგ ისტორიულ ტექსტთა ფილოლოგიურ „განჩხრეკას“. ყველგან და ყველაფერში ქართული სულის, ეროვნულობის დანახვას, გარდასულ ეპოქათა პოლიტიკურ ფილოსოფიასთან მიმართების კონცეპტუალურ გააზრება-გაცნობიერებას.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ არ არის მხოლოდ აგიოგრაფიული ტექსტი. დიდი პოლიტიკური ქვეტექსტის მქონე ნარატივია, პოლიტიკური ფილოსოფიის შემცველი ტექსტია, რასაც ახალი ქართული სახელმწიფოს იდეოლოგია უნდა დაემყაროს. ამ იდეოლოგიად კი იგი მიიჩნევს „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირიცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამნი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. ამით გაამთლიანა გრიგოლ ხანძთელმა ფარნავაზის ფილოსოფიური დოქტრინა – ქართულია ის სახელმწიფო, ის მიწები, სადაც ქართულად მეტყველებენ და ერთადერთი რაც დაამატა – ქართული ქრისტიანობაა.

პაუზა

ხაშმელია თემურ ჯაგოდნიშვილი. ამ სოფლის ჭალები, ტყე-ველი, მინდვრები... იყო პირველი ბავშვობის სამყარო. ეამაყება, რომ მამა მწერალ რეზო ინანიშვილის თანაკლასელი იყო. რაც წიგნი გავითავისე და მწერლის დანიშნულებასაც ჩავწვდი, ინანიშვილის მოთხრობების სამყარო ჩემი განუყოფელი ნაწილი გახდაო, ამბობს. მწერლის მოთხრობებში ხსენებული საყარაულო გორას კი დღესაც ვენახში მიმავალი გვერდს ვერ აუქცევს და, თავისთავად ბრუნდება ბავშვობისდროინდელ საოცარ, გამორჩეულ სამყაროში. მაგრამ ერთი აზრი უკარგავდა მოსვენებას, როგორ, თუ რატომ იყო დიდი მწერალი ასეთი თავმდაბალი?

იხსენებს:

მამაჩემმა მიამბო, ერთხელ რეზოს შევხვდი, შემეკითხა, როგორ ხარო? თავი მოვიწონე, ვუთხარი, უფროსი ბიჭი ფილოლოგიურზე სწავლობს თბილისშიო. ეჰ, ვანო, - უთქვამს რევაზ ინანიშვილს, – რად გინდოდა, კაცო, ეკონომიკის ფაკულტეტზე შეგეყვანა, ფილოლოგია მე დავამთავრე და, აბა, რა ვარო? არადა, ამ დროს, უკვე სახელგანთქმული მწერალი იყო. მივხვდი, ეს ის გამორჩეული თავმდაბლობა იყო, ყველას რომ არ მოსდგამს. ამას ვერ შეიძენ, ამას შენი შინაგანი თავმდაბლობის სიმაღლე გიყალიბებს.

და თქვა დიდმა ილიამ: ადამიანს ადამიანობა უნდა ეტყობოდეს! ეს არის თავი და ბოლო ქება-დიდებისა!

პატარა მიკროსამყაროს უწოდებს მეცნიერი უჯარმას, ხაშმსა და გომბორს, რომელთა ერთობლიობა პატარძეულით არის შემოსაზღვრული. წიგნისადმი სიყვარულს და ლიტერატურით დაინტერესებასაც ამ გარემოს უმადლის. დიდი ხანი ვცდილობდი, ამომეხსნა წიგნიერებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით გამორჩეული აქაურები ზეპირ სიტყვაზე მეტად ნაწერ სიტყვას რატომ აფასებდნენო. და სიამოვნებით მიზიარებს ერთ მისეულ დაკვირვებას. დაწერილი სიტყვის რწმენა ისე ყოფილა მათში გამჯდარი, ვინმე თუ საეჭვო რამეს იტყოდა – რას ამბობ, ეგ წიგნში, გაზეთში წერია და როგორ შეიძლება იქ რამე არასწორი იყოსო, – აი, ნაწერი სიტყვისადმი აქაური კაცის რეაქციაა, დღეს შესაშური რომ გამხდარა.

– ფოლკლორში დავიცავი დისერტაცია და, ასე თუ ისე, ფოლკლორში ტრადიციისაც რამე გამეგება, მაგრამ აქ ფოლკლორულ ტრადიციებზე მეტად წიგნიერების, ნაწერი სიტყვის ტრადიცია ჭარბობდაო, ამბობს და აქაურების მეტყველებას პირწმინდად სუფთა ქართულ სასაუბრო-სამეტყველო სტილად მიიჩნევს იგი.

ხაშმი – უჯარმა და იმ სივრცეს ერთ დიდ კულტურულ სამყაროდ მოიაზრებს თემურ ჯაგოდნიშვილი და არასოდეს უნანია, ფილოლოგია რომ აირჩია.

პაუზა

იყავი მადლიერი ყველასი, ვინც შენს ცხოვრებაში ჩნდება, რადგან ისინი შენს გზა-მკვლევრებად არიან მოვლენილნი, უთქვამს ბრძენკაცს. ასეთ ადამიანთა სათავეში თემურ ჯაგოდნიშვილი ბაბოს – ბაბალე ოძელაშვილს აყენებს, რომელმაც წიგნის სიყვარული „20 ძმის ზღაპრის“ გაცნობით ჩაუნერგა. მერე პროფესორ-მასწავლებლებს და გამართლებად მიიჩნევს აკაკი შანიძის, შალვა ნუცუბიძის, სიმონ ყაუხჩიშვილის, გიორგი ახვლედიანის, გიორგი ჯიბლაძის, აკაკი ურუშაძის ლექციების მოსმენას. ერთი კი არა ორი უნივერსიტეტის დამთავრებას ადრის ახალი კურსდამთავრებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში პრეზიდენტის - ილია ვეკუას თანაშემწედ, რეფერენტად რომ მიიღეს სამუშაოდ. მასთან გაიარა კურსი განათლებისა, მოქალაქეობისა, ადამიანობისა და თუნდაც თავმდაბლობის სიმაღლეზე დგომისაო.

წუხს

მწიგნობრობის ეპოქა უკანასკნელ დღეებს ითვლის. ინფორმაციის ერა აბსოლუტური გაგებით დადგა. ინფორმაციულობა უკვე ჩაენაცვლა წიგნიერებას და ცოდნას გაუტოლა თავი. ინფორმაციის ცოდნასთან გატოლების ილუზორულობა გახდა საზოგადოდ არა უბრალოდ ახალი ეპოქის, არამედ რაღაც უფრო დიდის დასაწყისი და ზღვარგამყოფი. XXI საუკუნის ქართველები (და არა მარტო) განათლების, წიგნიერების, ინტელექტუალიზმის სამყაროს შვილები არ არიან, იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ დაიბადნენ ინფორმაციის ეპოქაში. მათთვის ყველაზე დიდი კაპიტალი ინფორმაციაა. აქედან გამომდინარე, ისინი სხვა ღირებულებებით ხელმძღვანელობენ. განათლების ეპოქამ თავისი ისტორია დაასრულა ისე, როგორც განმანათლებლობის, კლასიციზმის, რომანტიზმისა თუ სხვა ამავე რიგის ეპოქებმა. წიგნიერების ეპოქა XX საუკუნეში დაბადებული და ჯერ კიდევ ცოცხლად მყოფი ადამიანების ყოველდღიურობაშია შემორჩენილი ვითარცა ღირებულებების სისტემა და ფილოსოფია.

არ ეთანხმება

პროფესორის წოდების გაუქმება და თანამდებობად გადაქცევა მისთვის მიუღებელია, რადგან ამით იზღუდება მისი უფლებები, ჩამორთმეული აქვს აღმზრდელობითი ფუნქცია, სწავლება გადაქცეულია მომსახურებად. ერთი სიტყვით, პროფესორი გაჩინოვნიკებულია. უნივერსიტეტის საქმიანობა შემოსავლის ოდენობით ფასდება. პროფესორი მთლიანად „დამკვეთზე“ (მოწაფეზე, სტუდენტზე) გახდა დამოკიდებული. ამგვარი მიდგომით სტუდენტი (როგორც ცოდნის მყიდველი) ყოველთვის მართალია. არადა პროფესორი სტუდენტისთვის ავტორიტეტი უნდა იყოს, პროფესორობა წოდება უნდა იყოს და არა მხოლოდ თანამდებობა.

მართლაცდა,

ისეთი რთულია გზა პროფესორობის მისაღწევად, რომ პროფესორი იმსახურებს პატივისცემას, აღიარებას, მით უფრო, რომ მისი ავტორიტეტი ბევრად განსაზღვრავს ცოდნის მაძიებლის ინტერესს იმ უნივერსიტეტისადმი, სადაც ეს პროფესორი მოღვაწეობს.

პაუზა

შესაშური ენერგიით უთავსებს ერთმანეთს თემურ ჯაგოდნიშვილი ფიზიკურ და გონებრივ შრომას. მისი ცხოვრების გზა ხაშმსა და თბილისს შორის ძევს. ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდება როგორც

მეცნიერებას, ისე მამაპაპისეული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობას. ვაზი ეძვირფასება ყველაზე მეტად, ქართველი ერის დიდ მეტაფორად მიიჩნევს მას, რადგან ვაზის ბუნებაში ქართველის ეროვნულობის განსახიერებას ხედავს. სამოცდაათს უკვე გადაცილებული, დაუღალავად შრომობს, რადგან სჯერა, იგი უპირველესად, საკუთარი თავის შეცნობაა. საკუთარი ამქვეყნიური დანიშნულების გაცნობიერების გზაა. ამბობს: შრომა საკუთარი თავის პოვნაც არის და აღმოჩენაც. ადამიანისათვის ყველაზე დიდი კმაყოფილება იმის გაცნობიერებაა, რომ მას რაღაც (კონკრეტულის) გაკეთება შეუძლია და კიდევ – რომ მისი გაკეთებული ვიღაცას სჭირდება, ვიღაცისთვის სიკეთე მოაქვს.

და არის კიდეც ხვავრიელი პროფესორის განვლილი გზა. რაც აღიარებულია სახელმწიფო პრემიით, ღირსების ორდენით, გოგებაშვილის სახელობის პრემიით, გიორგი ლეონიძის პრემიით, უნივერსიტეტის ოქროსა და სხვა სამახსოვრო მედლებით.

რა არის ცხოვრება თემურ ჯაგოდნიშვილისთვის? რომელია ის დეტალი, რომელმაც მნიშვნელოვანი თვისება განაპირობა მასში? როგორც ამბობს, ლაჯიბაურიდან (ტყის სახელია) ფიჩხის მოტანა.

შინაგანი მონოლოგი

პატარა ბიჭი სიხარულით ამავსო იმის შეგნებამ, რომ ჩემი მოტანილი ფიჩხით ჩემმა ბაბომ თონე გაახურა და პური გამოაცხო. ეს იყო ჩემი გასაკეთებლის გაკეთების შეგნება და იმის გაცნობიერება, რომ ვიღაცისთვის საჭიროა შენი გაკეთებული, და, მართლაც, ვიღაცისთვის სიკეთე მოგაქვს.

ცხოვრება საერთოდ დეტალების ერთობლიობაა, რადგან დეტალში, როგორც მიკროკოსმოსში, შთაბეჭდილია მთელი ცხოვრების არსი. და მაინც ამავდროულად რაღაც ისეთიც გამოიკვეთება, სხვებზე ძალუმი რომ არის და გეზის განმსაზღვრელიც. თუმცა ცხოვრების არც ერთი დღე, არც ერთი წუთი არ ჰგავს ერთმანეთს, რაც ხდება ჩვენს თავს, ყოველთვის პირველად ხდება. ამის გამო ვერასოდეს ვრეაგირებთ მომხდარზე იმგვარად, რამდენიმე ხნის შემდეგ კმაყოფილი ვიყოთ ჩვენი ნამოქმედარით. ყველაზე მწარე კი, სწორედ ეს ჩვენი ნამოქმედარით გამოწვეული სირცხვილის გრძნობაა, სირცხვილისა, რომელიც სიკვდილზე უფრო საშინელია.

აუცილებლად სათქმელი

რთველი კარგა ხნის დასრულებული იყო კახეთში, ყურძენიც დაწურული და ღვინოც დადუღებული. ჯაგოდნიშვილების ეზოში კი ხეივანს რამდენიმე მადისაღმძვრელი მტევანი შემორჩენოდა. უმზერ, როგორ იწონებს მზის სხივი თავს ქარვისფერ მარცვლებში და ინტერესი გკლავს: რატომ ვერ გაიმეტა მოსაწყვეტად მასპინძელმა ეს თავმომწონე მტევნები?

96 წელს მიღწეულმა, უკვე ლოგინს მიჯაჭვულმა დედამ სთხოვა, ყურძენს რომ დაკრეფ, იმდენი მომიტანე, ერთი, ორი ჯაგანი ავაცვა, რომ ზამთარში ყელი გავისველოო. იცოდა შვილმა, ასაკით ჯანგაცვეთილ დედას ამის ღონე არ შესწევდა, მაგრამ მის ბუნებასაც კარგად იცნობდა: ყველაფრის საკუთარი ხელით გაკეთება უყვარდა. ახლაც ამისკენ ერჩოდა გული და ჯანს ამიტომაც ეჯიუტებოდა, ეურჩებოდა. რთველი როგორც კი დაიწყება, აუცილებლად შეგისრულებ თხოვნასო, – უთხრა შვილმა. რთველი როდის დაიწყებაო? დაინტერესდა დედა, აი, ხეივანს რომ ჩამოვკრეფ, მაშინო - ამიტომაც შეატოვა ხეივანს მზეზე მოელვარე ის მტევნები, რომლებსაც ბოლო ამოსუნთქვამდე რთველის მოლოდინით ფანჯრიდან შესცქეროდა უკვე ზღურბლის მიჯნაზე მდგარი დედა.

დაგოლოს:
რესპონდენტის დანასკვი

ერთი უცნაურობა ჰქონია ქართულ მიწას, გრძნობ, რომ ამ მიწის შვილი ხარ, რაღაც საერთო მოდის, თავის ენაზე უთქმელად გელაპარაკება ეს მიწა, ხე, ჭალა, ტყე და გიცნობიერებს იმას, რა მაგარი და რა ძლიერი ხარ, რომ მისი შვილი ხარ, ესაა სასწაული! ისე კი, ხვდები, ერთი ცხოვრება არ გყოფნის ადამიანს, რომ საქართველო და ქართველად მყოფობის საიდუმლო ბოლომდე გაიგო და გაითავისო.

ხვალ გიორგობაა, თემურ ჯაგოდნიშვილის დაბადების დღე.

ვულოცავთ!

რუსუდან ლორთქიფანიძე
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ისევ ლიახვისპირელი შემოქმედის შესახებ

„ვანო მაჩაბელი – გზა ევროპისკენ!“

როგორც „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებმა იციან, შემოდგომის მიწურულს – 15 ნოემბერს, ლიახვისპირელი შემოქმედის საიუბილეოდ, მწერალთა სახლის სააქტო დარბაზში წიგნი-ალბომის „ვანო მაჩაბელი - გზა ევროპისკენ“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც გამოჩენილი ქართველი მწერლის, პუბლიცისტის, შექსპირის გენიალური მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის, ივანე მაჩაბლის დაბადებიდან 170 და უგზო-უკვლოდ გაუჩინარებიდან 126 წლისთავს მიეძღვნა. წიგნი-ალბომი თბილისში სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ფინანსური მხარდაჭერით გამომცემლობა ,,სამშობლომ“ დაბეჭდა.

პრეზენტაციაზე მოწვეულმა სტუმრებმა ხაზგასმით აღნიშნეს სასიქადულო მამულიშვილის ღვაწლი, გაიხსენეს მაჩაბლისეული ცხოვრების საინტერესო ეპიზოდები. აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი გავლენა იქონია მისმა საქმიანობამ ქართული ენის კულტურაზე. ენას შესძინა „ის ნიუანსები, რომელიც ასე ფასეულია ქართული საზოგადოებისთვის.“

წიგნი-ალბომის შემდგენელ თამარ ხიზანიშვილის თქმით, განსწავლული ინტელიგენტი **„იყო გაგრძელება იმ დიდი კულტურული მემკვიდრეობის, რასაც ევროპული ლიტერატურა ჰქვია და რისი ნაწილიც, ანტიკური დროიდან, საქართველო იყო. ივანე მაჩაბელი შორსმჭვრეტელი და ევროპულად მოაზროვნე პიროვნება გახლდათ. ყველგან და ყველაფერში ევროპული წესის დანერგვას ცდილობდა. სწორედაც არის აღმდგენი იმ დიდი კავშირებისა, რასაც ერქვა ჩვენი კავშირები ევროპასთან...** ამ მიმართულებით, **ილია ჭავჭავაძე ყველა დიდსა და ეროვნულ საქმეში გვერდით იყენებდა ახალგაზრდა ვანო მაჩაბელს.“**

შექსპირის (და არა მარტო) მისეული თარგმანები მართლაცდა უნიკალურია. იგი პოლიგლოტი იყო და იცოდა მრავალი ენა. ამიტომ, **„მას ჰქონდა შესაძლებლობები, აღედგინა ის უდიდესი გზა, რასაც ჰქვია გზა ევროპისკენ, რაზეც ჩვენი წინაპრები საუკუნეების მანძილზე ოცნებობდნენ და იღვწოდნენ. ამავდროულად, დაუღალავი კალმოსანი ქართული ენის საუკეთესო გულშემატკივარი, პროპაგანდისტი და ახალი მთარგმნელობითი ლიტერატურის ფუძემდებელია.“**

„ივანე მაჩაბელი – გზა ევროპისკენ,“ ბევრი ავთენტური და უნიკალური მასალითაა სავსე. აქ წარმოდგენილი წერილები, ფოტოსურათები მართლაც უიშვიათესია, მიმოხილულია ივანე მაჩაბლის ცხოვრების ყველაზე საკვანძო ეტაპები – ბიოგრაფიული ცნობები, მისი საზოგადო მოღვაწეობა, ურთიერთობა იმ დიდ ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, რომლებმაც დააფასეს გენიალური შემოქმედი არაორდინარული, ფართო ცოდნით, განათლებითა და პროგრესული აზროვნებით.

ივანე მაჩაბელი ფლობდა ევროპულ ენებს და ევროპული ლიტერატურის ჩინებული მცოდნე იყო. მაგრამ ამისდამიუხედავად, ის ყოველთვის ახლოს იყო თავის ხალხთან, ქართულ ადათ-წესებთან და აფასებდა ქართველთა სიბრძნეს... **იგი საფუძვლიანად გაეცნო ქართულ ფოლკლორს და შეისწავლა კლასიკოსი მწერლები. წიგნი-ალბომში შესულ ერთ-ერთ ფოტოზე ივანე მაჩაბელი თანამოაზრეებთან ერთადაა გადაღებული: დავით გურამიშვილი, დავით სარაჯიშვილი, ოთარ დადეშქელიანი, ილია ბაგრატიონ-გრუზინსკი და სხვა საზოგადო მოღვაწეები. ფოტო 1873 წელს სანკტ-პეტერბურგშია გადაღებული, უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში (1871-1873 წწ.).**

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე **ლაშა დარსალია,** დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **თამაზ გესტაევი,** საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკითხთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ზვიად ზვიადაძე,** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გიორგი ვოლსკი,** საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის აპარატის უფროსი **შერმადინ შარია,** მწერალთა სახლის დირექტორი **ქეთევან დუმბაძე.** ასევე, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ნაირა გეპეევა,** ცნობილი პოეტი და დრამატურგი **მზია ხეთაგური,** მწერალი და პუბლიცისტი, გაზეთ „ცხინვალის მაცნეს“ მთავარი რედაქტორი **როგერტ ოდიკაძე,** პოეტი **ციცინო ბაგუციძე** და სხვ. წიგნი-ალბომის პრეზენტაცია მუსიკალურად გააფორმეს ხალხური სიმღერისა და ცეკვის აკადემიურ ანსამბლ „ნართების“ ვაჟთა ვოკალურმა ჯგუფმა და ახალგაზრდა მუსიკოსებმა.

საპ. ინფორმაცია

პრაქტიკული ინგლისურის სასწავლო კურსი მოსწავლეებისთვის

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი განაგრძობს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გაძლიერების პროგრამის განხორციელებას.

GRUNI
SCIENTIA ET VERITAS
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY

როგორც რობაქიძის უნივერსიტეტში განმარტავენ, პროგრამის ერთ-ერთი მიმართულებაა ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების პროექტი, როგორც სკოლის მოსწავლეების, ისე პედაგოგებისთვის.

მათივე ცნობით, 2024 წლის 19 ნოემბერს ოფიციალურად გაიხსნა პრაქტიკული ინგლისური ენის სწავლების ორთვიანი სასწავლო კურსი თბილისის სკოლების მოსწავლეებისათვის, რომელსაც საქართველოში აშშ-ის საელჩოს დელეგაცია ესწრებოდა.

„სასწავლო კურსი ფოკუსირებულია სასაუბრო, ზოგად ინგლისურზე და მიზნად ისახავს გამოთქმის, საუბრის, მოსმენის უნარისა და ლექსიკის გაუმჯობესებას.

ორთვიან კურსს უძღვება ამერიკელი სპეციალისტი, ინგლისური ენის ექსპერტი ჯოზეფ მეგვაიერი, რომელიც აშშ-ის საელჩომ პროგრამის – „**English Language Fellow**“, ფარგლებში მიამაგრა უნივერსიტეტს.

პირველ მეცადინეობას, რომელსაც სხვადასხვა სკოლის 80-მდე მოსწავლე ესწრებოდა, გაცნობითი ხასიათის იყო. ინგლისური ენის ექსპერტმა მოუსმინა მოსწავლეებს, გაიგო მათი მიზნები, ინტერესი, მოლოდინი, შემდეგ კი განსახილველი თემები გააცნო მონაწილეებს.

მეცადინეობა კვირაში ორჯერ გაიმართება.

თბილისის სკოლების გარდა, რეგიონების 400-მდე მოსწავლე ონლაინ ჩაერთვება პრაქტიკული ინგლისურის სწავლებაში.

პროექტს ხელმძღვანელობს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის ცენტრი“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ფრთხილად, წინ ბოროტებაა!!!

გაოცებული და დამწუხრებული გავყურებს გიორგი ლეონიძის ძეგლი ორბელიანების სასახლეს. ვინ შესულა იქ და ვინ ისვრის იქიდან ბრძანებებს? ქალი – პრეზიდენტი! ოოოჰ! ნუთუ მთელ საქართველოში პრეზიდენტად წესიერი კაცი არ გამოიძებნა?! მოდი, ესე ნუ ვილაპარაკებთ, ერთი ჩვენს ლიბერასტებსაც ჰკითხეთ, თუ როგორია იგი და როგორ იცავს მათ თავისი დაგოხებული ხმით!

ჩემს წერილში სიტყვა „გაფრთხილებას“ ორგვარი მნიშვნელობით ვიხმარ: რის წინაშე უნდა გავფრთხილდეთ და რასაც უნდა გავუფრთხილდეთ.

იშვიათად მინახავს ისეთი წიგნი, რომელიც დიდი პოეტის შემოქმედებას ისე აღწერს, როგორც ამას აკეთებს თავად შესანიშნავი პოეტი და მწერალი ემზარ კვიტაიშვილი, როდესაც მსჯელობს გიორგი ლეონიძის შემოქმედებაზე (იხ. ემზარ კვიტაიშვილი, ქართული სიტყვის გაზიერი, თბ., 2021).

ამ წიგნიდან ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო გ. ლეონიძის ერთმა თავისუფალმა ლექსმა, რომელიც პოეტს თვრამეტი წლის ასაკში დაუწერია და რომელიც ეძღვნება მეფეთა მეფე თამარს. აი ისიც:

„რა ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყვანი ჩემნი –
ოდეს კრძალვით ვახსენებ შენს გვირგვინოსან სახელს, ჰოი, თამარ!
ვაჰ მე! ვაჰ მე! საქართველოსთვის მხიარული დღენი ვერ მიპოვნია,
შენც უდაბნოს ვარსკვლავივით გაიელვე ლურჯ უფსკრულში და ვგოდებთ,
რომ კვლავაც ვერ შევსრნებივართ სხივთა დღეასწაულს...
ჩვენ ვიცით, რომ ორჯერ ვარსკვლავი არ გვინათებს! – და კვლავ შეგნატრით, განუმეორებელო მზევ, გაზაფხულის ღელის ყვავილო!
მიუვალ გზისკენ წასულან სამშობლოს ვარსკვლავები.
ბრნყინვა და შარავანდედი შეახუნდა საქართველოს მზეს...
არ გაიშალა ჩვენთვის სხივთა მარაო და დღეს
მტრის მშვილდოსნისაგან დაკოდილი ქართლოსიანი
სასოებით მხოლოდ შენ შემოგძახის: თამარ! ჰოი, თამარ!
ჰყვავის და ჭკნება საუკუნე: ჰყვავის მწუხრი და განთიადი,
ხოლო სახე შენი ჰგიებს დაუმჭკნარი, ღიმილის ელვით ოქროცურვილი“.

ემზარ კვიტაიშვილი ბრძანებს, რომ ეს ლექსი „თამარ“, არის „საკვირველი გზნებით ავლენილი ლოცვა თუ ჰიმნი“ (გვ. 88).

მე უფრო გამოკვეთილად ვიტყოდი: ეს კონტემპლაციაა. მცირეოდენი ექსკურსი ამ ცნებასთან დაკავშირებით. სიტყვა კონტემპლაცია მომდინარეობს ლათინური **contemplatio**-სგან, რაც გახლავთ ჭვრეტა, რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა ცის ჭვრეტას და ცაზე დაკვირვებას, რასაც აკეთებდნენ ძველი რომის ავგურები წინასწარმეტყველების მიზნით. ამგვარად ჭვრეტა შეიცავს როგორც გრძნობად, ასევე წმინდა სულიერ და რელიგიურ კომპონენტებს. ავგუსტინესთვის კონტემპლაცია წარმოადგენს ღვთის პირისპირ პირწმინდა სულიერ ჭვრეტას მარადიულ სიცოცხლეში. იგი არის ყოველი მოღვაწეობის (**actio**) დასასრული, მარადიული სიმშვიდე და სიხარულის სრულყოფილება (**Augustin, De imortalitate animal** და სხვ.). შუა საუკუნეების მისტიკასა და ფილოსოფიაში კონტემპლაცია წარმოადგენდა ნებისმიერი საგნის არსის ჭეშმარიტების წვდომასა და მასში ჩაძირვას, რომელიც მიიღწეოდა ექსტაზის დროს (**Historisches Wörterbuch der Philosophie, Bd. 4, Kontemplation, Basel/Stuttgart 1976**).

ყოველივე ამის შემდეგ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ გიორგი ლეონიძეს, როგორც დიდებულ პოეტს, გააჩნდა წარმოუდგენელი პოეტური ინტუიცია მეფეთა მეფე თამარის სახეში ჩასაღრმავებლად, და ამით, თუ არა წინასწარმეტყველება, სახეზე გვაქვს მაინც საკუთარ ერზე დიდი გოდება.

მაგრამ თამარის სახეში, ამჯერად ბეთანიის ეკლესიის ფრესკაში, კონტემპლაციას ეწევა გიორგი ლეონიძის დიდი წინამორბედი გრიგოლ ორბელიანი, რომელიც თავის ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ მას ასე მიმართავს:

„შენს წმინდა სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!
მიხარის – გიმზერ,
ვჰსწუხვარ – და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე...“

და როგორი აზრისა და სულის სიღატაკეა, როდესაც გესმის, ვიღაც ვიგინდარამ თუ როგორ შეურაცხყო დიდებული დედოფალი თავის „მოთხრობაში“, როდესაც აღწერა, თუ რა ხდებოდა მის დასაძინებელ ოთახში „ქორწილის შემდეგ!“ ეს მოვლენა სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რადგან ამას მოჰყვა უკვე ერეკლე მეფის შეურაცხყოფა და საერთოდ ლიბერასტების ბანაკს ყელში აქვს გაჩხერილი თვით ჩვენი ეკლესია, რადგან იგი კრძალავს „თავისუფალ სიყვარულს“ და საერთოდაც „რუსეთის აგენტია!“

აქამდე ვლაპარაკობდი რასაც უნდა გავუფრთხილდეთ, ე. ი. მზე თამარის სახესა და ჩვენს სარწმუნოებას. ახლა კი ვიტყვი, თუ რის წინაშე უნდა გავფრთხილდეთ. უნდა გავფრთხილდეთ იმის წინაშე, რის დანერგვასაც ცდილობს ჩვენში ლიბერასტული ოპოზიცია: ეს გახლავთ წარმართული უზნეობისა და ღმერთების აღორძინება, რის გამოც დაისაჯა ქალდეველთა მეფე ბელშაცარი.

„მეფე ბელშაცარმა დიდებული ლხინი გაუმართა თავის ათას დედაკაცს და ამ ათასის თვალწინ სვამდა ღვინოს. სვამდნენ ისინი ღვინოს და ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, რკინის, ხისა და ქვის ღმერთებს ადიდებდნენ. სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ კაცის ხელის თითები და სასანთლის წინ, სამეფო სასახლის კირით შეფეთქილ კედელზე წერა დაიწყეს. მეფე ხედავდა ხელის მტევანს, რომელიც წერდა: მენე, მენე, თეკელ უფარსინ...

აჰა, ამ სიტყვების ახსნა: მენე – დაითვალა ღმერთმა შენი სამეფოს დღენი და ბოლო მოუღო მას; თეკელ – სასწორზე აიწონე და მსუბუქი აღმოჩნდი; ფერეს – გაიყოფა შენი სამეფო და მიდიელებსა და სპარსელებს მიეცემა იგი. იმავე ღამეს იქნა მოკლული ბელშაცარი, ქალდეველთა მეფე“ (დანიელ წინასწარმეტყველი, თავი მეხუთე).

საქმე ისაა, რომ უგუნური ლიბერასტები თავიანთ თავთან ერთად საქართველოსაც ღუპავენ წარმართული ღმერთების აღორძინებით. მორწმუნე და ნორმალური ქართველისთვის მხსნელი ისევ კონტემპლაციაა, მაგრამ ახლა ვიტყვი: არა რომელიმე მეფეზე და გმირულ გამოვლენაზე ჩვენი ისტორიიდან, არამედ უშუალოდ მაცხოვარზე, როგორც ეს ხდება მრავალ მისტიკოსთან. წიგნში, რომელიც კარგა ხნის წინ ვთარგმნე (იხ. გერმანელი მისტიკოსები. რჩეული ტექსტები. თბ., 2005), მისი გერმანელი გამომცემელი გუნდოლფ გიერათი, „შესავალში“ წერს შემდეგს: **„ჩვენი კულტურის ახალი ორიენტირება, რომელზედაც ამდენს საუბრობენ, უნდა დაუკავშირდეს ჩვენი წარსულის კეთილ სიძველეს. იგი გვიჩვენებს, რომ რელიგია ადამიანებში უღრმესი და შინაგანად აუცილებელია და იგი უნდა წარმოადგენდეს მთელი ჩვენი სიცოცხლის საყრდენ საფუძველს“.** ძნელია, არ დაეთანხმო ამ სიტყვებს. ყველა ის დაბრკოლება, რომელიც წინ უდგას ზემოთქმულის განხორციელებას და რომელსაც ჩამოთვლის გუნდოლფ გიერათი, ჩვენთვისაც არსებობს და ამას ემატება ჩვენი რეალობაც. ამიტომ ჩვენც უნდა დავუკავშირდეთ „ჩვენი წარსულის კეთილ სიძველეს“. მით უმეტეს, რომ ამის ტრადიცია გაგვაჩნია: არსებობს ჯერ კიდევ მე-7 საუკუნეში შექმნილი ქართული ორიგინალური ასკეტურ-მისტიკური ხასიათის თხზულება და განსაკუთრებით ამავე ხასიათის მდიდარი თარგმნილი ლიტერატურა (იხ. კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, თბ., 1960, გვ. 544 და შემდეგ). და ეს ყველაფერი შექმნილია ძირითადად მე-14 საუკუნემდე, ე. ი. სწორედ იმ საუკუნემდე, როდესაც აღმოცენდა გერმანული მისტიკა.

ყოველივე ეს დაწერილი მაქვს ჩემსავე „წინასიტყვაობაში“ 2005 წელს, რომელიც წინ უძღვის გერმანელი მისტიკოსების რჩეული ტექსტების თარგმანს. დაე მკითხველმა თავად განსაჯოს, თუ მას შემდეგ რამდენად დავუკავშირდით „ჩვენი წარსულის კეთილ სიძველეს“. ჩვენი ლიბერასტების თავაშვებულობამ ერთი სახეგანთქმული არაკი გამახსენა პლატონის დიალოგიდან „ფედროსი“ (246 ა8; 253ც). იქ სული ემსგავსება ეტლში შებმულ ორ ცხენს და მეეტლეს. ცხენთაგან ერთი მშვენიერია და მეორე მახინჯი. ლამაზი ცხენი ადვილად ემორჩილება მეეტლეს, მახინჯი კი უძალადდება და სულ გვერდზე გახტის. პლატონის ანთროპოლოგიის მიხედვით მეეტლე გონებას გამოსახავს, ხოლო ცხენები სურვილებს. ამათაგან ლამაზი ცხენი პოზიტიური სურვილებია, ხოლო მახინჯი ცხენი – საზიზღარი, უფსკრულში გადამჩეხი სურვილები. მეეტლემ (გონებამ) სწრაფად უნდა დაიმორჩილოს ცხენები (ნდომები), თორემ უფსკრულში გადაიჩეხებიან. და აი აქ ჩვენი ლიბერასტები მახსენებენ მახინჯ ცხენს მახინჯი სურვილებით, რომლის შხამიანი ამონერწყვა ჩვენც გვეცხება, ჩვენც (უკანასკნელს? – ნიკო სამადაშვილი) ქრისტიანებს.

აქ დროულია ვიკითხოთ: საერთოდ საიდან მომდინარეობს ბოროტება? ამაზე ასეთ პასუხს იძლევა გერმანელი ფილოსოფოსი ავგუსტ ბრუნერი:

ბოროტების აუხსნელობა

რადგან ბოროტება მთლიანობიდან, საგნის არსის ფორმიდან არ გამომდინარეობს და პირიქით, მას აზიანებს, მაშინ იგი მისგან შეუძლებელია, აიხსნას; იგი ყოველთვის დარტყმას აყენებს არსს და არა აუცილებლად – ნებისყოფას. თუნდაც ბოროტების თეორიის წამოყენება ზოგადად შესაძლებელი იყოს, მაშინ მაინც არასოდეს არ შეიძლება განიმარტოს, როგორც აბსოლუტურად აუცილებელი (არსიდან აუცილებლობით გამომდინარე), კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული ბოროტების მყოფობა. ეს ნიშნავს, რომ კონკრეტულ ბოროტებას ყოველთვის ახასიათებს მარტოოდენი ფაქტობრიობა, არა აბსოლუტური აუცილებლობა და მაინც სახეზე მყოფობა, აუხსნელობა; ეს ანიჭებს ბოროტებას სწორედ მის სიმძიმეს და ხდის მას მტანჯველ ამოცანად. ამიტომ, თვით ნათელი თეორია ვერ აშორებს ფაქტობრივ ბოროტებას მის სისასტიკესა და გამღიზიანებლობას, რომელსაც აძლევს მას მისი არააუცილებლობა და აუხსნელობა. ყველაზე მკვეთრად ბოროტების ეს ხასიათი კვლავ იქ ჩნდება, სადაც დარღვეულ მთლიანობას თვითმფლობელური, პიროვნული ხასიათი აქვს. ამის საპირისპიროდ იქ, მარტოოდენ ბიოლოგიურ სფეროში, სადაც სიკვდილი მიიღება ზოგადად სიცოცხლის ბუნებიდან (თუმცა კი აქედან არ გამომდინარეობს, რომ ცოცხალი არსება სწორედ აქ და ახლა უნდა მოისპოს), ბოროტება აღარაა ასე რადიკალური და ამიტომ მისი სიმძაფრე შეუდარებლად მცირეა. მას არ გააჩნია აბსოლუტურობის, გამოუსწორებლობის ხასიათი, როგორც ბოროტებას, რომელიც სულიერს, პირველ ყოვლისა კი ზნეობრივს ეხება ადამიანში. (იხ. ავგუსტ ბრუნერი, ფილოსოფიის ძირითადი საკითხები, თბილისი 2010, გვ. 115).

მართლაც აუხსნელია ბოროტება – რატომ? რისთვის? რატომ ამ მშვენიერ სხეულში? რატომ ამ მხცოვან მამაკაცში ან დედაკაცში? რატომ ბავშვში? – ყველა ამ საკითხს ფართოდ ვეხები ჩემს სქელტანიან წიგნში და ამიტომ აქ აღარ გავიმეორებ (იხ. „ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება საქართველოში, თბილისი 2006).

მაგრამ ბოროტება აუხსნელია თუ ახსნადი, მასთან ბრძოლა აუცილებელია. ამასთან დაკავშირებით ეს წერილი ისევ გიორგი ლეონიძის ლექსით მინდა დავასრულო. ამ ლექსის საბაბი გახდა, როგორც წერს ემზარ კვიტაიშვილი, 1922 წლის შემოდგომაზე თბილისის მახლობლად გამოჩენილი და დიღომში სოფლელი მონადირის მიერ მოკლული ვეფხვი.

„სარაცინების თესლით ამტყდარი
და პამირების ბურში მყვირალი,
მოატყდა სივრცეს გასაკვირალი,
პანმონგოლიზმის მაირახტარი.

ხალიფატების დასტოვე ტახტი
და სისხლი მღვრიე ვერსად დასტიე,
ალმათ შენ ჰყავდი ბრწყინვალე რახტით –
უკანასკნელი ძველ დინასტიებს.

რომელი უნდა გელეწა რასა
და მერამდენე გემტვრია რომი,
როცა დაეშვი დაუდგრომელი
და მზე გტეხავდა მარმაროსული.“

პამირის მთიანეთიდან თუ ირანიდან მოულოდნელად შემოხეტებულ ნადირში, – აგრძელებს ემზარ კვიტაიშვილი – დამპყრობელის, მომხვდურის სახეა პერსონიფიცირებული.



და აი ისევ, სოფლელი მონადირე ანუ ხალხის ჯანსაღი ძალა კლავს ამ ბოროტებას.

გავფრთხილდეთ ბოროტების წინაშე!

ვიქტორ რცხილაძე

დაიწერა 2024 წლის 13 ნოემბერს, თბილისში ხვარაზმელთაგან წმიდათა ათთა ბევრთა (100.000) წამებულთა (1227) ხსენების დღეს.

ქართველი ფერმერი ქალები ცოდნას იღრმავებენ

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ სამეგრელო-ზემო სვანეთში განხორციელებული მერძეული მიმართულებით მომუშავე ქალ ფერმერებზე ფოკუსირებული პროექტის შედეგად რძის პროდუქტების წარმოება გაუმჯობესდა. ამის შესახებ ინფორმაციას FAO ავრცელებს.

ოთხწლიანი პროექტი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დაფინანსებითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან პარტნიორობით განხორციელდა და მიზნად ისახავდა რძის პროდუქტების მწარმოებელი ქალი ფერმერების გაძლიერებას.

FAO-ს ინფორმაციით, პროექტის დახურვის ღონისძიებაში მერძეული მიმართულებით მომუშავე ქალი ფერმერები ჩაერთნენ. ყველა მათგანი მონაწილეობას იღებდა FAO-ს ფერმერთა საველე სკოლებში. დასკვნით ღონისძიებას SDC-ისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ პროექტის სხვა დაინტერესებული მხარეები, მათ შორის სოფლის განვითარებისა და სურსათის ეროვნული სააგენტოების, ზუგდიდის მერიისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

გასული ოთხი წლის განმავლობაში, FAO-მ 30 ფერმერთა საველე სკოლა დააარსა სამეგრელო-ზემო სვანეთის რვა მუნიციპალიტეტში. აღნიშნულ ფორმატში, 600-ზე მეტმა მერძევე ქალმა ფერმერმა მიიღო ცოდნა რძის პროდუქტების წარმოებისა და ჰიგიენის კარგ პრაქტიკაზე. მათ ასევე შეისწავლეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა ცხოველის ჯანმრთელობა, კვება და კეთილდღეობა, საქართველოს სურსათის უვნებლობის რეგულაციები და პირუტყვის რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის მნიშვნელობა. ამას გარდა, მონაწილეები გაეცნენ გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების საკითხებს, შეიძინეს ბიზნესის მართვისა და ლიდერობის უნარები. აღსანიშნავია, რომ ისინი სათემო აქტივიზმსა და ადვოკატირებაშიც ჩაერთვნენ და ხელშესახებ შედეგებს მიაღწიეს საკუთარი თემების კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის. ცოდნის გაზიარებასთან ერთად, მაღალი ხარისხის პროდუქტის ეფექტური წარმოების მხარდასაჭერად, მათ რძისა და რძის პროდუქტის საწარმოო დანადგარები და ხელსაწყოებიც გადაეცათ.

ფერმერთა საველე სკოლების მონაწილეებმა შეისწავლეს ისეთი ძვირად ღირებული ყველის 10 სახეობის მომზადება, როგორებიცაა კაჩოტა და ჰალუმი. პროექტში ჩართულმა ბევრმა ფერმერმა ყველის აღნიშნული სახეობების წარმოება დაიწყო საკუთარი მოხმარებისთვის და გასაყიდად. FAO მათ არტიზანული რძის პროდუქტის მარკეტინგში, ეტიკეტირებასა და ბრენდინგში დაეხმარა.

FAO ასევე აქტიურად მუშაობდა სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიასა და პროექტში ჩართულ ფერმერებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობაზე გამოფენებისა თუ სადეგუსტაციო ღონისძიებების ორგანიზებით. აღნიშნულ ფერმერთა ნაწილი უკვე აქტიურად აწვდის ძვირად ღირებული ყველის სახეობებს მაღაზიებს, რესტორნებსა და სასტუმროებს.

"ქართველებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ყველი, რომელსაც ძირითადად ქალები აწარმოებენ და ამ ცოდნას დედები თავიანთ ქალიშვილებს გადასცემენ. თუმცა, ქალებს ხშირ შემთხვევაში არა აქვთ ყველის წარმოების თანამედროვე ცოდნასა და ფინანსებზე წვდომა. ჩვენ პროექტში ჩართულ გამგედავ ქალებს შევასწავლეთ უკეთესი წარმოების მარტივი პრაქტიკა, რაც მოიცავს ჰიგიენისა და სურსათის უვნებლობის სტანდარტებს. მათ ასევე შევასწავლეთ ყველის ისეთი სახეობების წარმოება, რომლებიც უფრო დიდი ხნით ინახება. ყველს უმნიშვნელოვანესი როლი აქვს როგორც ქართულ სუფრაზე, ასევე ადგილობრივი თემების კვებისა და სურსათის უსაფრთხოების კუთხითაც. პროექტში ჩართულ 600-მა ფერმერმა შეძლო უფრო მეტი რძისა და ყველის წარმოება და ბევრმა მათგანმა ამით ფინანსური შემოსავალი მიიღო. შედეგად, ვხედავთ, რომ ზოგი მათგანი მცირე მასშტაბის რძის პროდუქტის საწარმოო სივრცეებსაც აწყობს. ღონისძიებაზე ვიხილეთ ბევრი მიზანდასახული, გაძლიერებული სახე და მჯერა, რომ სწორედ ესაა მათი წარმატებისა და ზრდის საწინდარია. მიხარია, რომ FAO-ს გუნდმა, SDC-ის მხარდაჭერითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან პარტნიორობით, ასეთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ შესანიშნავ პროექტში. ჩვენ ვამაყობთ პროექტში ჩართული ძლიერი ქართველი ქალებით", – ამბობს ხავიერ სანს ალვარესი, FAO-ს პროგრამის კოორდინატორი.

საქართველოში შვეიცარიის საელჩოს თანამშრომლობის ოფისის რეგიონული დირექტორი ბარბარა ბონი აღნიშნავს, რომ ქალების გაძლიერება მედეგი ოჯახების, წარმატებული თემებისა და მდგრადი პროგრესის ქვაკუთხედია.

„გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიზანია, მივცეთ ახალი შესაძლებლობები ქალებს, და, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ ქალებს, დავეხმაროთ მათ შემოსავლების გაზრდაში, დასაქმებაში, და თემების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. ეს ნიშნავს ქალების თავდაჯერებულობის გაძლიერებას, ქალთა უფლებებზე ცნობიერების ამაღლებას, მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სოციალურ სერვისებზე, ჯანდაცვასა და ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომის გაზრდას, ხელშემწყობი და ინკლუზიური გარემოს შექმნას ქალებისთვის ადგილობრივ დონეზე. პროექტის აქტივობების შედეგად, ვხედავთ სულ უფრო მეტ აქტიურ და გაძლიერებულ ქალს. მსურს, მადლობა გადავუხადო SDC-ს მხარდაჭერისთვის და FAO-ს – პარტნიორობისთვის, ასევე, პროექტში ჩართულ ყველა აქტიურ ქალს, რომლებიც ცდილობენ საკუთარი ბიზნესის გაუმჯობესებას, საზოგადოების საჭიროებების იდენტიფიცირებას, და თავად მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში", – აღნიშნავს გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში კაორი იშიკავა.

მარიამ ტიტვინიძე

სიმსუქნე ქრონიკული დაავადებაა!

ჯანმო: საქართველო სიმსუქნის მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებს შორისაა

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ, საქართველოს არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის ალიანსთან ერთად ფორუმი „პოლიტიკის დიალოგი: სიმსუქნის პრობლემის დაძლევა საქართველოში – მტკიცებულებებიდან ქმედებამდე" ჩაატარა, რომელსაც ექსპერტები და პოლიტიკის შემქმნელები მრავალი სექტორიდან დაესწრნენ, სიმსუქნის მზარდი პრობლემის გადასაჭრელად.

ამის შესახებ ინფორმაციას ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ავრცელებს.

მათი ცნობით, ღონისძიებაზე მონაწილეებს სილვიუ დომენტემ – ჯანმოს წარმომადგენელმა საქართველოში, თამარ გაბუნიამ – ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, კახა კაკაბაძემ – გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, თამარ სამხარაძემ – მეცნიერების, განათლებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ და არაგადამდებ დაავადებათა ალიანსის თავმჯდომარემ სიმონ გაბრიჭიძემ მიმართეს.

„ექსპერტებმა ჯანმოდან, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან (NCDC) და სხვა მოწვეულმა მომხსენებლებმა წარმოადგინეს მონაცემები სიმსუქნის მასშტაბის და ტვირთის შესახებ გლობალურ, რეგიონულ და ქვეყნის დონეზე, მის გამომწვევ მიზეზებსა და დეტერმინანტებზე, ამ სფეროში პოლიტიკის მიდგომებსა და ზომებზე. NCDC-მ ასევე წარმოადგინა ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობისა და მარილის შემცირების ეროვნული სტრატეგიის პროექტები.

სიმსუქნე კომპლექსური ქრონიკული დაავადებაა, რომლის დროსაც ხდება ჭარბი ცხიმის დაგროვება, რაც აზიანებს ჯანმრთელობას. უმეტეს შემთხვევაში, სიმსუქნე მრავალფაქტორული დაავადებაა, რომელიც გამოწვეულია ობეზოგენური გარემოს ზეგავლენით, ფსიქოსოციალური ფაქტორებით და გენეტიკური ვარიანტებით. ობეზოგენური გარემო დაკავშირებულია სტრუქტურულ ფაქტორებთან, რომლებიც ზღუდავს ჯანსაღი და მდგრადი საკვების ხელმისაწვდომობას, უსაფრთხო და მარტივ ფიზიკურ აქტივობას ყოველდღიურ ცხოვრებაში და ადეკვატური სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემოს არსებობას.

ჭარბი წონა ბავშვებში და მოზარდებში გავლენას ახდენს მათ ჯანმრთელობაზე და ასოცირდება როგორც ტიპი 2 დიაბეტის და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების უფრო დიდ რისკთან და მათ ადრეულ გამოვლენასთან, ასევე არასასურველ ფსიქოსოციალურ შედეგებთან", – ნათქვამია ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, საქართველო სიმსუქნის მაღალი გავრცელების მაჩვენებლის მქონე ქვეყნებს შორისაა როგორც ჯანმოს ევროპის რეგიონში, ასევე მთელ მსოფლიოში: 10 ზრდასრული ადამიანიდან 6-ზე მეტი ჭარბწონიანია, მათ შორის 3 – მსუქანი. გარდა ამისა, 2021 წლის მონაცემებით, საქართველოში 7-9 წლის სკოლის მოსწავლეების 27% ჭარბწონიანია, ხოლო – 11% მსუქანი. ამ საკითხების გადასაჭრელად, მონაწილეები ჩაერთვნენ პარალელურ სესიებში, რომელთა მთავარი ფოკუსი იყო ჯანსაღი კვება და სიმსუქნის მკურნალობის/მართვის პოლიტიკა.

„ჯანმო მოუწოდებს ქვეყნებს, შეიმუშაონ და განახორციელონ სიმსუქნის პრევენციისა და კონტროლის სახელმწიფო პოლიტიკა, რათა შემცირდეს მასთან დაკავშირებული უზარმაზარი ტვირთი. როგორც დღეს იქნა განხილული, სიმსუქნესთან ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკა მოიაზრებს ყოვლისმომცველ მიდგომებს, როგორიცაა ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა, ჯანსაღი კვების პოლიტიკა სკოლებში, ძუძუთი კვების ხელშეწყობა, არაჯანსაღი პროდუქტების მარკეტინგის შეზღუდვა, შაქრიანი სასმელების დაბეგვრა, საკვების ეფექტური ეტიკეტირების დანერგვა, ჯანსაღი საკვების წარმოების და მარკეტინგის მხარდაჭერა, წონის კლებისა და მართვის სერვისების განვითარება და ხელმისაწვდომობა", – აცხადებს ჯანმოს წარმომადგენელი საქართველოში სილვიუ დომენტე.

◎ პირველად!

შალვას მერნით — მსოფლიოს ფინალში

ქართული სპორტის არნახულ აღზევებას მხედრული ტრადიციებით განთქმული სამამულო საცხენოსნო სკოლაც გამოეხმაურა, რაც სახელოვანი დინასტიის ღირსეული წარმომადგენლის შალვა გაჩეჩილაძის პოლონურ ტრიუმფში აისახა.

25-წლიან კარიერაში მისი წარმატებებით განებივრებულნი ვართ, მაგრამ ის, რაც ვარშავაში მოხდა, რიგითი აღმაფრენის ფარგლებს სცილდება და სეზონის გვირგვინად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

დიახ, ჩვენი გუნდის ლიდერი გაზაფხულზე შვეიცარიულ ბაზელში თანამემამულეთაგან პირველი, მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ რაუნდში დაიცავს სამშობლოს პრესტიჟს, რაც, დაგვეთანხმებით, თაობათა საამაყო მოვლენაა. ვულოცავთ!

დავძენთ, რომ საამისოდ ჯვაროსანმა ჯერ კავკასიის, ხოლო შემდეგ უკვე ნახსენებ შუა ევროპის ეტაპებზე გვასახელა, სადაც 20 ქვეყნის 200-მდე მეტოქესთან უმძაფრეს კონკურენციაში ბედაურ მოდესტით 8 საჯარიმო ქულით გადალახა 150-წინაღობიანი დისტანცია.

◎ თითქმის ტრიუმფი

აქის ასეთი ქვეყანა!..

ალბათ, ძნელი გასახსენებელია, როდის მოუწია ერთბაშად 4 ქართულ ნაკრებს ერთ დღეს 4 უმნიშვნელოვანესი შეხვედრის გამართვა და საამაყოა, რომ ორმა მათგანმა მორიგი წარმატებებით გაგვახარა. თუმცა, მოდით, მივყვეთ მოვლენათა განვითარებას თანამიმდევრობით.

მართალია, ბევრს ამხანაგური მატჩისადმი აგდებული დამოკიდებულება აქვს, მაგრამ გამარჯვება, თუნდაც სუსტ მეტოქესთან, მაინც გამარჯვებაა და გუნდის ბიოგრაფიაში სათანადოდაც უნდა ჩაიწეროს, ამიტომაც 18-წლამდელთა მიერ მოლდოვასთან 2:0 მოგებულ სპარინგსაც ღირსეული დაფასება სჭირდება.

შემდეგ უკვე 19-წლამდელთა ჯერი დადგა, რომლებიც შვედეთში დასრულებული ევროპული ფორუმის საკვალიფიკაციო რაუნდის დასკვნით ბრძოლას ესტონეთთან მართავდნენ და ჯგუფური წინაღობის დასაძლევად ფრეც აწყობდათ. ამჯერადაც დადასტურდა, რომ თამაში ყველამ ისწავლა და მიზნის მიღწევა სულ უფრო რთულდება. საბედნიეროდ, ბიჭები არ გატეხა მდევრის როლმა, ბალტიისპირელთა ავტოგოლით პროგრამა – მინიმუმი შევასრულეთ – 1:1 და პლეი-ოფში ვართ!

და აი, მივადექით **რამაზ სვანაძის** გაწვრთნილ 21-წლამდელთა სპორტულ გმირობას, რასაც მრისხანე ხორვატ თანატოლებთან მარათონული საპასუხო ჯახის ძლევაი საკვირველით დასრულება და გაისად სლოვაკეთში კონტინენტის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ზედიზედ მეორედ თამაშის უფლების მოპოვება ჰქვია. დაგვეთანხმებით, ზოგად საუბარს კონკრეტული ფაქტების მოშველიება სჯობს, ჰოდა, აღსანიშნავია, რომ ძირითად დროში ფავორიტ მასპინძლებს ორჯერ გავუთანაბრეთ ანგარიში ულამაზესი გოლებით (**გაგნიძე, ლომინაძე**) და არც დამატებულ წუთებზე გაშვებულმა ბურთმა შეგვირყია საკუთარი ძალების რწმენა, პენალტების სერიაში კი, მართალია, **აზაროვის** პირველივე ფუჭი გასროლით მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა მივიღეთ, მაგრამ კრიტიკულ ვითარებაში უკვე მეკარე **ხატიაშვილმა** მოახდინა სასწაული. გილოცავთ!

ხორვატია – საქართველო 3:2
(დამატებით დროში).
პენალტებით – 6:7

პირველი მატჩი – 0:1

რაც შეეხება ერთა ლიგის ბოლო ტურში ჩეხეთისა და საქართველოს მატჩს („ბ“ დივიზიონი), მას საოცრებათა სამყარო უნდა დაეგვირგვინებინა, მაგრამ ზღაპრის ბოლო ამჯერად კეთილი არ აღმოჩნდა და, ალბათ, ლოგიკურადაც.

დიახ, **ვილი სანიოლის** ანსამბლში თითქოს ყველა რგოლი წესრიგშია, გუნდის ლიდერებიც არ აკლებენ ცდას, პარტნიორები რომ მეტოქის დასაშამათებლად აიყოლიონ, მაგრამ რაღაც რომ მოიშალა, ესეც ფაქტია.

იქნებ, უკვე ყველამ აუღო ალღო კავკასიელთა ტაქტიკას და სქემებშია კორექტივები შესატანი? ყოველ შემთხვევაში, ასე გაგრძელება რომ აღარ შეიძლება, ჩეხებმა ოლომოუცში აღებული რევანშით მიგვანიშნეს – 2:1 (**მიქაუტაძე**), დღევანდელი წილისყრა კი „ბ“ დივიზიონში დასარჩენ პლეი-ოფში ჩვენს მეტოქეს გამოავლენს.

*საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რამაზ სვანაძემ** ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შემდეგ კომენტარი გააკეთა. მან პრესკონფერენციაზე თქვა, რომ საქართველომ დამსახურებულად მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის საგზური, ხოლო ხორვატებს მომავალში წარმატებები უსურვა. „ყველას ვულოცავ, იმიტომ, რომ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა შესარჩევი ეტაპიდან ევროპის ჩემპიონატზე გასვლა პირველად შეძლო, რაც პატარა ამბავი არაა. ჩვენი ფეხბურთელებისთვის ახალი ასპარეზი იშლება, მოტივაციას და რწმენას აძლევს განსაკუთრებით იმ ბავშვებს, რომლებიც საფეხბურთო სკოლებსა თუ აკადემიებში თამაშობენ. ბედნიერი ვარ, რადგან დიდი შრომა დაგვიფასდა ყველას, ფეხბურთელებს, მათაც, ვინც დღეს ჩვენთან ერთად არ იყვნენ, მაგრამ მოიაზრებიან შემადგენლობაში. ძალიან ბევრი ფსიქოლოგიური მომენტები იყო დღეს თამაშში, რაც გუნდმა გადალახა: არაფრისგან მიღებული სწრაფი გოლი, შემდეგ ჩვენივე ნებით დათმობილი უპირატესობა, რაც არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ მოხდა, ბოლო წუთებზე გაშვებული გოლი, რომელიც ბევრ გუნდზე ძალიან ცუდად იმოქმედებდა, მაგრამ არა ჩვენზე, რადგან ძალიან კარგად ვიცი, თუ რა სულისკვეთებაა ამ გუნდში, მჯერა და მწამს ჩემი ფეხბურთელების. მათ რეალურად შეუძლებელი შეძლეს, იმიტომ, რომ ჩემზე კარგად არავინ იცის, რა დონის სირთულეებთან გვიწევდა გამკლავება მთელი შესარჩევის, ასევე პლეი-ოფის განმავლობაში.*

პატრიოტიზმმა, რომელიც ჩვენში ძალიან სჭარბობს, შედეგი გამოიღო და ლოგიკურად დავასრულეთ. არ არის შემთხვევითი, რომ ზუსტად პენალტებში მოვიგეთ, რადგან გვქონდა ამის მწარე გამოცდილება. ზოგადად, ესაა ახალგაზრდული ნაკრების სპეციფიკა, ვიზრდებით თამაშიდან თამაშამდე, წინ კი, ევროპის ჩემპიონატი გველის და გილოცავთ.

ასევე, ვულოცავ 19-წლამდელთა ნაკრებს. ჩვენთვის ეს ძალიან ბევრს ნიშნავს, იმიტომ, რომ ჩვენთვის მთავარი ეროვნული ნაკრებია და იმიტომ უნდა მივაღწიოთ წარმატებას, რომ ბოლოს ეროვნულ ნაკრებს გამოვადგეთ, ჩვენ ყველა, ფეხბურთელებიც და ფედერაციის თანამშრომლებიც. ეს ყველაფერი რწმენას და მოტივაციას ამაღლებს ფეხბურთელებში, მომავალ თაობებში. მაღალ დონეზე თამაშის გამოცდილებას ვიძენთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს ბევრ ფეხბურთელს არ აქვს, განსაკუთრებით, ვინც საქართველოს ჩემპიონატში თამაშობს“.

◎ ოვალური ბურთი

ვაკეში – 6 წლის შემდეგ

ბორჯღალოსნები 2024 წლის ბოლო სატესტო შეხვედრას საკუთარი გულშემატკივარის წინაშე 24 ნოემბერს ტონგასთან გამართავენ. „მიხეილ მესხზე“ თამაში 18 საათზე დაიწყება.

ტონგას ბოლოს 6 წლის წინ, 2018 წელს ვეთამაშეთ, მაშინაც 24 ნოემბერს სეზონის დასკვნით რაუნდში და „მიხეილ მესხზე“ 20:9 დავამარცხეთ. ეს იყო ამ გუნდების მე-7 დაპირისპირება, საიდანაც საქართველომ 5-ში გამარჯვება მოიპოვა.

კუნძულელებთან ურთიერთშეხვედრების ისტორია სათავეს 1999 წლიდან იღებს. მაშინ ბორჯღალოსნები ტონგას მსოფლიო თასის საგზურისთვის შეხვდნენ და პირველი მატჩი ნუკუალოფაში 6:37 დათმეს. სამი კვირის თავზე “დონამოზე” რევანში შედგა, მაგრამ საქართველომ მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით, 28:27 გაიმარჯვა და ორი მატჩის ჯამში მსოფლიო თასზე ტონგა გავიდა, საქართველოს დებიუტი კი 4 წლით გადაიდო.

კუნძულელებთან მორიგ თამაშამდე მთელი 15 წელი გავიდა და მორიგი დაპირისპირება 2014 წელს შედგა. ტონგასთან პირველი ტესტ-მატჩი „მიხეილ მესხზე“ გაიმართა და სტუმრებმა დამაჯერებლად, 23:9 მოიგეს. ეს იყო მათი მეორე და ბოლო გამარჯვება საქართველოსთან. უკანასკნელ 10 წელიწადში ბორჯღალოსნები ტონგას კიდევ 4-ჯერ შეხვდნენ და ოთხივეში გაიმარჯვეს.

მთავარი დაპირისპირება 2015 წლის მსოფლიო თასზე შედგა. საქართველომ ტონგა ინგლისში, გლოსთერში 17:10 დაამარცხა და იმ მსოფლიო თასზე ისტორიული შედეგი (ორი გამარჯვება) აჩვენა. 2016 და 2018 წლებში ტონგას ორჯერ ვეთამაშეთ ფიჯიზე, სუვაში და ორივეჯერ გავიმარჯვეთ - 23:20 და 16:15. 2018 წელს ტონგა საპასუხოდ თბილისში გვეწვია და მასთან ჯერჯერობით სარეკორდო სხვაობით, 20:9 გავიმარჯვეთ.

განვლილ 7 თამაშში ბორჯღალოსნებმა გაიტანეს 11 ლელო და 119 ქულა, თავად კი 17 ლელო და 141 ქულა მიიღეს.

ნოემბრის სანაკრებო ფანჯარაში გუნდებმა უკვე ორ-ორი თამაში გამართეს და ჯერჯერობით გამარჯვების გარეშე არიან. ტონგას ჯერ რუმინეთმა სძლია 25:15, მერე კი აშშ-მ 36:17.

✦ ✦ ✦

ამასობაში უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ნიდერლანდებს 36:5 სძლიეს და 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ზედიზედ მეცხრე ფინალს ითამაშებენ.

განვლილი 8 ფინალიდან პირველ 3-ში გამარჯვება მეტოქეს დარჩა, 2018 წელს კი, საფრანგეთის ძლევით საქართველო პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი და მას შემდეგ ტიტული ხელიდან არ გაუშვია (2020 წელს ჩემპიონატი კოვიდ-პანდემიის გამო არ ჩატარდა).

ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში, “მარკეტა სთედიუმზე“ ნახევარფინალური შეხვედრა ძლიერი ქარის ფონზე წარიმართა, რამაც მატჩის მსვლელობაზე გავლენა იქონია და რამდენიმე ეპიზოდი აღებული ქულების გარეშე დასრულდა. მთლიანობაში, **ზურაბ ამონაშვილის** შეგირდები უდიდეს უპირატესობას ფლობდნენ კონტაქტის არეში, ხელდახელ ბურთაობაში, სარაგბო უნარებში და ზოგადად რაგბის ცოდნაში.

2024 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი გიორგობა დღეს, 23 ნოემბერს გაიმართება და მასში ესპანეთს შეეხვდებით.

◎ აუზში

მეხუთე წაგება

„დინამო თბილისმა“ წყალბურთის ჩემპიონთა ლიგაზე მეხუთე ტურის მატჩი ჩაატარა და მორიგი მარცხი განიცადა. ქართული გუნდი სტუმრად „იადრანს“ შეხვდა, რომელსაც წინააღმდეგობა ვერ გაუწია – 5:12. „დინამომ“ მხოლოდ მესამე პერიოდში აჯობა მეტოქეს (3:2), თუმცა, იქამდე უკვე გადაწყვეტილი იყო ყველაფერი, რადგან ხორვატები პირველი ტაიმის მერე 7:1-ს იგებდნენ. „დინამოს“ შემადგენლობაში ორი გოლი ბესო ახვლედიანმა გაიტანა, თითოჯერ თავი ხვიჩა ჯახაიამ, ბელკო ტანკოსიჩმა და საბა ტყეშელაშვილმა გამოაჩინეს. „დინამო თბილისი“ ხუთი ტურის შემდეგ უქულოდ ჯგუფში ბოლო ადგილზეა, მომდევნო ტურში კი, 4 დეკემბერს, „რადნიჩკის“ უმასპინძლებს.

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „ჰიდრო პ. ჯორჯიას“ მიერ ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდინარე მტკვარზე 7 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ასპინძა ჰესის“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილება

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 10 დეკემბერი, 13:00 საათი, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. დაბა ასპინძის კულტურის სახლის შენობა ; 2024 წლის 10 დეკემბერი, 16:00 საათი, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. ივერიის საჯარო სკოლის შენობა; 2024 წლის 11 დეკემბერი, 12:00 საათი, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფ. ხიზაბავრას კულტურის სახლის შენობა

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 15 ნოემბერი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

გახდით ახალი ლიტერატურული თაობის დაბადების მონაწილე!

მწერალთა სახლმა და „ლიტერატურულმა გაზეთმა“ დაიწყეს შეხვედრები ახალგაზრდა ავტორებთან, რომლებმაც უკვე მოიპოვეს აღიარება „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე. პუბლიკაციები „ლიტერატურულ გაზეთში“ მათი შემოქმედებითი გზის მხოლოდ დასაწყისია.

რიგით მეშვიდე შეხვედრა დღეს, 22 ნოემბერს 19:00 საათზე შედგება. ლიტერატურის მოყვარულებს საშუალება გეძლევათ, პირადად გაიცნოთ თანამედროვე ავტორები: **გიო ზედგაკელი** (პოეტი), **ნინო მოდრეკილაძე** (პოეტი) და **გიორგი გელაშვილი** (პროზაიკოსი), მოისმინოთ მათი შემოქმედება და დაუსვათ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები.

დასწრება თავისუფალია.

მეექვსე საცდელი გაშვებაც წარუმატებელი გამოდგა!

SPACEX-მა, Falcon-ის რაკეტის მეექვსე საცდელ გაშვებას Starship-ის პროტოტიპით განახორციელა. ინფორმაციას BBC ავრცელებს.

აშშ-ის ახლად არჩეული პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი და ილონ მასკი რაკეტის გაშვების პროცესს, ტეხასის კოსმოსური პორტიდან უყურებდნენ.

დედამიწის გარშემო ერთი წრის შემდეგ, პილოტირებული ხომალდი ორბიტაზე გავიდა და ავსტრალიის მახლობლად ინდოეთის ოკეანეში ჩავარდა...

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თემურ ქილახსაევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: თემურ ქილახსაევი (პ/ნ 20601076173), ლაგოდეხი, ს. გურგენიანი, ლაგოდეხი, ს. ნინიგორი

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ლაგოდეხი, ს. ნინიგორი, ნაკვეთი 480 (საკადასტრო კოდი: 54.04.59.480)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 19727.87 ლარი.

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2024 წლის 22 ნოემბერი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 6 დეკემბერი, 14:15 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP103571824;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1035718

6. მოვალე: თემურ ქილახსაევი (პ/ნ 20601076173), ლაგოდეხი, ს. გურგენიანი, ლაგოდეხი, ს. ნინიგორი;

ინა ქილახსაევი (პ/ნ 20701076195), ლაგოდეხი, ს. გურგენიანი

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP103571824; ლოტის ნომერი: 1035718).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 6 დეკემბრის 12:00 საათამდე.

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ანასტასია ივანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ანასტასია ივანიძე (პ/ნ 01034001078), თბილისი, ზაქარია ვეშაპურის ქ. №9/12; თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა №15

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა №15 (საკადასტრო კოდი: 01.16.02.024.031)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 39729.95 ლარი.

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2024 წლის 22 ნოემბერი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 6 დეკემბერი, 14:00 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP103570824;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1035708

6. მოვალე: ანასტასია ივანიძე (პ/ნ 01034001078), თბილისი, ზაქარია ვეშაპურის ქ. №9/12; თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა №15

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP103570824; ლოტის ნომერი: 1035708).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 6 დეკემბრის 12:00 საათამდე.

„ქარო, სად მისწვდე, მიიღე ამბავნი არ სამრუდენი“

ქეთევან წამებული XVII-XVIII სს ქართულ და ევროპულ მწერლობასა და ისტორიულ წყაროებში

27 ნოემბერს, დღის 2 საათზე, ლიტერატურის ინსტიტუტის საადგილო დარბაზში გაიმართება მაია ნაჭყებიას მონოგრაფიის – „ქარო, სად მისწვდე, მიიღე ამბავნი არ სამრუდენი“ – ქეთევან წამებული XVII-XVIII სს ქართულ და ევროპულ მწერლობასა და ისტორიულ წყაროებში – პრეზენტაცია.

ორგანიზატორების ინფორმაციით, წიგნი გამოცემულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში.

მონოგრაფია წარმოადგენს შირაზში, 1624 წელს, ქეთევან დედოფლის მოწამებრივი აღსასრულიდან 400 წლისთავისადმი

მიძღვნილ გამოცემას. ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია შემდეგი საკითხები:

ეპოქის ისტორიული მიმოხილვა: პოლიტიკური ვითარება საქართველოსა და ევროპაში; ბაროკოს ეპოქა ლიტერატურაში;

მონოგრაფიაში განხილული და გაანალიზებულია თეიმურაზ პირველის პოემა („წამება ქეთევან დედოფლისა“, 1628), ქეთევანისადმი მიძღვნილი ანდრეას გრიფიუსის („ქეთევან ქართველი“..., 1647) და სლოვაკი ავტორის („კატერინა ქართველთა დედოფალი“ 1701) დრამატული ნაწარმოებების როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემები, ისე წყაროთმცოდნეობითი საკითხები.

დამსწრეებს გადაეცემათ წიგნის ეგზემპლარები.

მის: კოსტავას №5.

ეროვნული ბიბლიოთეკის „ვეფხისტყაოსნის“ კოლექცია

„ვეფხისტყაოსანს“ ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმში ცალკე დარბაზი ეთმობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემების ერთ-ერთ ყველაზე სრულ კოლექციას ფლობს. წიგნის მუზეუმში თავმოყრილია 50 ენაზე გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ათეული ეგზემპლარი.

შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის გამოცემის ისტორია 1712 წლიდან იწყება, როდესაც მეფე ვახტანგ VI მიერ მოწყობილ სტამბაში ის პირველად დაიბეჭდა. წიგნის გამოცემას წინ უძღოდა ტექსტის დადგენა. იმ დროს პოემა ბევრმა იცოდა ზეპირად, არსებობდა ბევრი ხელნაწერიც, რომელშიც სტროფები იცვლებოდა ან ახალი სტროფები ემატებოდა. როგორც მაშინ იტყოდნენ, ტექსტი „შერყვნილი“ იყო. ამიტომაც გახდა საჭირო პოემის გამოსაცემ ვერსიაზე მუშაობა.

შოთა რუსთაველის პოემის გამოცემათაგან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია გიორგი ქართველიშვილის მეცადინეობით 1888 წელს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც რამდენიმე წელი მზადდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმში „ვეფხისტყაოსნის“ ათეულობით ეგზემპლარი ინახება, კოლექცია მაინც არასრულია. ფონდი პერმანენტულად ივსება როგორც უახლესი გამოცემებით, ისე ძველი, იშვიათი ეგზემპლარებით.

წმიდა დიდმოწამე გიორგი

წმიდა დიდმოწამე გიორგის ხსენების დღე წელიწადში ორჯერ აღინიშნება 23 ნოემბერს და 6 მაისს.

ძველთაგანვე საქართველოს, წმინდა გიორგის ქვეყანას, „გიორგიას“ უწოდებდნენ.

23 ნოემბერი არის დიდმოწამე გიორგის ბორბალზე წამების დღე, დღე, რომელიც მისმა მიძაშვილმა, ქართველთა განმანათლებელმა წმინდა ნინომ დაადგინა.

...წმინდა დიდმოწამე გიორგი საქართველოს განსაკუთრებული მფარველია.

ისტორიიდან ცნობილია, რომ წმინდა დიდმოწამე გიორგი ხილულადაც იბრძოდა ქართველთა ლაშქარში.

საქართველოში ეკლესიების უმეტესი ნაწილი წმინდა გიორგის სახელზეა აგებული.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს: **„ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის ყოველთვის იყო და იქნება, ვიდრე დედამიწა არსებობს. ერთადერთი ძალა, რომელიც ადამიანს, ერს, ქვეყანას ამ ბრძოლის დროს შეეწევა, ღვთის ძალა და მანდილია. წმინდა გიორგი სისხლით რომ იცლებოდა, მოესმა ხმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი: „ნუ გეშინინ გიორგი, მე შენთანა ვარ!“**

რაც შეეხება „ხალხურ გიორგობას“, სხვადასხვა ადგილას ის სხვადასხვა სახელწოდებით იმართებოდა. ქართლში მას ატოცობა ერქვა. კახეთში – ალავერდობა, სამეგრელოში – ილორობა.

გიული ლიპარტია

მარნეულში „შოთაობა 2024“ აღინიშნა

მარნეულში „შოთაობა 2024“ აღინიშნა. მარნეულის მერიის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა მიბლიოთეკის მიმდებარე სკვერში ყვავილებით შეამკეს დიდი ქართველი პოეტის ძეგლი.

„ღონისძიების ფარგლებში, მარნეულის საჯარო ბიბლიოთეკის ორგანიზებით, ბიბლიოთეკის ეზოში თემატური გამოფენა გაიმართა. ქ. მარნეულის მე-6 საჯარო სკოლამ კი კოსტიუმირებული პერფორმანსი წარადგინა, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს აცოცხლებდა. ღონისძიებაში ასევე ჩართული იყო სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიების დასასრულს მოსწავლეები მადლობის სიგელებით დააჯილდოვეს.

მარნეულში დღესასწაული „შოთაობა” 2021 წლიდან აღინიშნება.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი იხსნება

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი იხსნება – 5 წლის წინ გაჩენილი ხანძრის შემდეგ დაწყებული რესტავრაცია ფინალურ ეტაპზეა. გახსნის საზეიმო ცერემონია 8 დეკემბერს გაიმართება.

2019 წლის აპრილში ხანძარმა მე-12 საუკუნის არქიტექტურის შედევრი მნიშვნელოვნად დააზიანა. დღემდე უცნობია ცეცხლის გაჩენის კონკრეტული მიზეზი, საფრანგეთის პროკურატურა ორ ვერსიას განიხილავს – ნამწვავის აალება ან გაუმართავი ელექტროგაყვანილობა.

პარიზში შენობის აღდგენაზე 500 სპეციალისტი ხუთი წელი მუშაობდა. პროექტის ღირებულებამ 550 მილიონი ევრო შეადგინა.

ირანელი გოგონა, რომელმაც პროტესტის ნიშნად ტანსაცმელი გაიხადა, ოჯახს დაუბრუნეს

სტუდენტი გოგონას წინააღმდეგ, რომელმაც უნივერსიტეტის წინ ტანსაცმელი გაიხადა, სამართლებრივი საქმე არ აღძრულა და ის ოჯახს დაუბრუნეს, – ამის შესახებ ირანის სასამართლოს პრესსპიკერმა ასგარ ჯაჰანგირმა განაცხადა.

„იმის გათვალისწინებით, რომ გოგონა საავადმყოფოში გაგზავნეს და დადგინდა, რომ ავად იყო, ის ოჯახს გადასცეს და მის წინააღმდეგ არანაირი სამართლებრივი საქმე არ აღძრულა“, – განაცხადა ირანის სასამართლოს პრესსპიკერმა.

შეგახსენებთ, მიმდინარე თვის დასაწყისში ახალგაზრდა გოგონამ, თეირანში, ისლამური აზადის უნივერსიტეტის წინ ტანსაცმელი გაიხადა. სტუდენტმა პროტესტი ამ ფორმით მას შემდეგ გამოხატა, რაც უნივერსიტეტის დაცვამ ჰიჯაბის არასწორად ტარებაში დაადანაშაულა. მოგვიანებით, ირანის მთავრობის პრესსპიკერმა განაცხადა, რომ გოგონა „პრობლემური ინდივიდია“ და იგი სამკურნალო ცენტრში გადაიყვანეს.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ფბ. ფეიჯი: sak@sak.ge

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი,

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

დამკაბადონებელი
გიორგი მახარაშვილი.

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი

მისამართი:
თბილისი. აკაკი
წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ
მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის
აზრი, შესაძლოა, არ
ემთხვეოდეს ავტორთა
მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია
ავტორი.
საავტორო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ აგებს
სოციალური ქსელიდან
და სხვა მედია-
საშუალებებიდან
გადმობეჭდილ, ან
უცხოური პრესიდან
თარგმნილი მასალების,
ფაქტების, ინფორმაციის
სიზუსტეზე,
აგრეთვე სარეკლამო
განცხადებების
შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 25 ნოემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7484; ევრო - 2.8998;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4789;
100 რუბლი - 2.7361; თურქული ლირა - 0.0797;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6163;
1000 სომხური დრამი - 7.0604.